პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 29 აგვისტო, პარასკევი
№ 35 (2212)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

## გამარჯობა, მომავალო თაობავ!

მოვიდა სექტემბერი, შემოდგომის პირველი თვე, თავისი საზეიმო დღით, — პირველი სექტემბრით. ამ დღის მღელვარება ხომ სიყმაწვილიდანვე გამოგვყვა, დაწყებული იმ პირველი სექტემბრით, როცა პირველად ავიღეთ ხელში „დედა-ენა“, პირველად გავუდექით გზას და გულის ფანცქალით შევაღეთ ჩვენთვის უცნობი, იდუმალი და მიმზიდველი სამყაროს, — სკოლის კარი. ეს მღელვარება არ გვშორდება ახლაც, როცა ჩვენ კი არ მივიჩქარით სასწავლებლისაკენ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ჩვენი უმცროსი და-ძმები მიდიან...

პირველი სექტემბერი ყველას ზეიმია, დიდისა და პატარისა. ამ დღის გაცისკროვნებული სახეები სამუდამოდ რჩება ადამიანის ხსოვნაში და მთელი ეს მადლი მერე თითქოს ცხოვრების დიდ გზაზეც მიჰყვება, სადაც მას სიხარულიც ელის და მწუხარებაც, ბნელიც და ნათელიც, კეთილიც და ბოროტიც. ამ დღით იწყება ადამიანის სიკეთის გზა, რწმენის გზა, იმედისა და ნათელი ოცნების გზა.

გილოცავთ ამ დღეს,
ბედნიერი იყოს ეს დღე!

ახალწლისა არ იყოს, პირველი სექტემბერიც სასიკეთო სურვილების დღეა. და, რაღა თქმა უნდა, ჩვენც, პირველყოვლისა, სამშობლოს დაგილოცავთ! გიყვარდეთ თქვენი დედა-სამშობლო, სადაც დაიბადეთ, სადაც იზრდებით და ვაჟკაცდებით. კარგი სწავლით, შრომით და განათლებით დაგეფასებინოთ ის ამაგი, რასაც თქვენი ქვეყანა და ხალხი თქვენზე ეწევა. სამშობლო გიყვარდეთ მთელი გულით და მთელი მგზნებარებით, როგორც თავიდათავი ადამიანის კაცობისა, მამულიშვილობისა და მოქალაქეობრივი შეგნებისა. სამშობლოსადმი თქვენი სიყვარული უპირველესად საქმით გამოხატეთ, იყავით მისი განვითარების, წინსვლისა და ძლიერებისათვის მებრძოლნი. იმუშაკეთ მის სასიკეთოდ, სადაც არ უნდა იყოთ, დიდსა თუ მცირე საქმეზე, თქვენი საქმე, როგორც თქვენი სამშობლოსი, მუდამ ერთგულად და პატიოსნად აკეთეთ.

პატივი ეცით მეგობარ და მეზობელ ხალხებს. გახსოვდეთ, რომ სხვა ერთა სიყვარული პატრიოტიზმის, საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გამოხატულებაცაა. შეისწავლეთ და შეითვისეთ სხვა ხალხთა ენა, კულტურა და მეცნიერული მონაპოვარი, რადგან ვერც ერთი ერის კულტურა და მეცნიერება ვერ განვითარდება მსოფლიო კულტურისა და მეცნიერებისაგან გამოთიშულად, მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა ხომ მუდამ ამგვარად, საკაცობრიო კულტურების მხარდამხარ ვითარდებოდა, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ხომ ჩვენი ლექსისა და მოთხრობის, პოემისა და რომანის მთავარი ნიშანი იყო მუდამ.

გიყვარდეთ თქვენი დედაენა, რომელზედაც იქმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“, 1500 წლის შუშანიკის წამება, გურამიშვილის, სულხან-საბას, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის უკვდავი ნაწარმოებები, იაკობ გოგებაშვილის სიბრძნით განათებული საყმაწვილო მოთხრობები; რომელ ენაზეც დღეს ითარგმნება მსოფლიო ლიტერატურისა და ფილოსოფიის საუკეთესო შედევრები, უახლესი მეცნიერების მონაპოვარი.

გიყვარდეთ წიგნი, ყველაზე დიდი განძი და ყველაზე უკვდავი და უცვლელი მონაპოვარი საკაცობრიო ცივილიზაციისა; წიგნი, როგორც ცოდნის მარადიული და შეუცვლელი წყარო, როგორც საფუძველთა საფუძველი სხვა ყველაფრისა, — თეატრისა, კინოსი, ტელევიზიისა, და გაზვიადებად არ გეჩვენოთ, თვით მხატვრობისა და მუსიკისაც. სამყაროს საფუძვლიანი შეცნობა ხომ წიგნით იწყება, წიგნით ხდება მყარი ჩვენი ცოდნა, წიგნი აყალიბებს ჩვენს მხატვრულ გემოვნებას, წიგნი აგვაშორებს ზედაპირულობას და ზერელობას, წიგნი გვაძლევს საშუალებას რაც შეიძლება ღრმად ავითვისოთ ცოდნის უსაზღვრო და უკიდეგანო ზღვა, შევიცნოთ და გონების თვალით გავიაზროთ ადამიანის წარსული, აწმყო და მომავალი, ნამდვილ მეცნიერულ მონაპოვარზე დავამყაროთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრებაც და სახვალიო ოცნებაც.

იყავით აქტიურნი და ენერგიულნი, და რაც მთავარია, თქვენი ენერგია, თქვენი მოქალაქეობრივი აქტივობა საქვეყნო და საზოგადო საქმეს მოახმარეთ. თქვენი ქვეყნის სრულუფლებიანი შვილები ხართ და ყველაფერი, რაც თქვენს ირგვლივ ხდება, თქვენც გეხებათ. ხელი გამოიღეთ ყველა საქვეყნო საქმისათვის, დაუზარლად გაჰყევით უფროს თაობას იქ, სადაც სამშობლო გიხმობთ, სადაც დიდმნიშვნელოვანი საქმეები კეთდება, სადაც სამომავლო საძირკველი იჭრება, სადაც შენდება, იქმნება, სადაც მოჰყავთ მოსავალი, ადნობენ ფოლადს, აგებენ ელექტროსადგურებს, გაჰყავთ გზები და რკინიგზები... რადგან არაფერია უფრო კეთილშობილური რამ ქვეყნად, ვიდრე სასარგებლო შრომა, არაფერი ისე არ ალამაზებს ადამიანს, როგორც პატიოსანი გარჯა ქვეყნისათვის, ხალხისათვის, არა მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახისათვის, არამედ სხვათათვის.

იყავით ყველა სიკეთის ქომაგნი და ყოველგვარი მანკიერების მიმართ შეურიგებელნი. მუდამ გახსოვდეთ მამა-პაპათა ანდერძი სიკეთეზე, პატიოსნებაზე, რაც ასე ნათლად და დიდებულად ჩანს ჩვენი ხალხის ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებში, ჩვენს ტრადიციაში, ყოფაში, წესჩვეულებებში. ყოველივე ეს ხომ, ერთად აღებული, განადიდებს ადამიანის კეთილშობილებას, მოყვასისადმი ყურადღებას, პატიოსნებასა და სიკეთეს...

აი, სურვილები, რითაც ქართული მწერლობა გილოცავთ გზას სასწავლებლებისაკენ.

თქვენს სამშობლოს, თქვენს მშობელ ხალხს წინ დიდი საქმეები ელის. წუთითაც არ წყდება გარჯა ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, ფაბრიკა-ქარხნებში და ბაღ-ვენახებში. მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის ემზადება. ყრილობა დიდი მოვლენა იქნება, ყრილობისათვის მზადება — საპატიო და ყველა ჩვენთაგანისათვის პასუხსაგები საქმე. და, რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ჩვენი პარტიის მომავალი ყრილობაც, სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად თქვენს კეთილდღეობაზე, თქვენს სწავლასა და შრომაზე, თქვენს ნათელ მომავალზეც იმსჯელებს, რადგან ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს უფრო დიდი და საპატიო საქმე, ვიდრე თქვენზე — ნორჩ თაობაზე, ახალგაზრდა თაობაზე, ქვეყნის მომავალზე და იმედზე ზრუნვაა.

დაე, მუდამ მზიანი ყოფილიყოს თქვენი მომავალი!

1
სექტემბერი
1 სექტემბერი
1 სექტემბერი
1 სექტემბერი
1 სექტემბერი

ფოტოპლაკატი ს. კილაძისა.

### ნაზი კილასონია

## ცოდნა, შრომა, მამული

ჩაიარა აგვისტომა
გზები აფერებული,
მუხნარებში ჩაგვიტოვა
სიმი ამღერებული.
დამწყვილებელ-
მკენტებელი
დგას სავსება მთვარული.
და ამოდის სექტემბერი
ცოდნის ასომთავრულით.
სექტემბერი ვულკანია,
ვინ შებედავს მუქარით,
მარჯვენათი უკავია
ვარსკვლავების რუკანი.
სექტემბერი ტატნობია,
სარწყულია მწყურვალთა,
სექტემბერთან დატოლება,
გაბედვაა გულადთა.
გულადია პაწაწინაც
„დედაენის“ კარედით,
ლოდინი რომ არ აძინებს
მთლად პირველი ზარების.
გულადია თინათინი,
გულადია ქეთევან,
ვინც სექტემბრით
ათინათებს
ცოდნას,
შრომას,
შეტევას!
გულადია სიჭაბუკე
პაპუნა თუ დათუნა,
ვინც ჩაწვდება,
ვინც იჭარბებს,
ისექტემბრებს ქართულად!
სიჭაბუკევ! ბრძოლა ველის
ცოდნის ველად ცხადდება,
მიტომ გიყვარს
სექტემბერის
ხელის მხარზე დადება.
ყველა ასულს,
ყველა წულებს
ეს დღე მოუხაროდა,
ნეტამც ყველა
დაგვირწყულდეს
სექტემბერის წყაროდან.
განა ჯიბრი საჭიდაო?
მხოლოდ ლტოლვა
საჯილდაო
გვეძიოს და გვეთესოს,
ყველა გვიჩნდეს
სათითაოდ,
სათითაოდ,
სათითაოდ,
მართლაც საუკეთესოდ...
...მორიჟრაჟებს,
მოვარაყებს
ზოდიაქოს გვირისტით,
სექტემბერი მოალყეა,
ტყვედ ნებდება თბილისი.
მიყვარს შენი მზისდარობა,
შენი კდემაც მთვარული,
მიხარი და მიხაროდი
ცოდნის ასომთავრულით.
შენ ცხოვრება გვიკანონე
სწავლით,
სწრაფვით,
ძიებით,
პირველი ხარ სიყვარული
სავსე „აი-იებით!“..
დგება წყება თაობათა,
გონმაღალი, ენამზე —
დროა, სწავლა გაუმართო
პლანეტების ენაზე,
და აკვანთან დანარწევი
ცნება აღმომავლური:
ყველას გულზე დააწერო
ცოდნა!
შრომა!
მამული!

## ბედნიერი ყოფილიყოს!

შემოდგომის ზარის წკრიალი, პირველ სექტემბერს რომ ირეკება, სამუდამოდ მიჰყვება ადამიანის მეხსიერებას, როგორც ნათელი მოგონება ჩვენი ბავშვობის ბედნიერი დღეებისა.

ნეტავი თქვენ, ვინც პირველად შეაღებთ სკოლის კარს, ვისაც პირველად მოგიხმობთ ეს ოქროს ზარი!

ნეტავი თქვენ, ვინც პირველად მოუსხდებით მერხებს და პირველად გადაშლით „დედა-ენას“!

ბედნიერი ყოფილიყოს პირველი სექტემბრის ზარი თქვენთვის, ჩვენო ყვავილებო, ხვალინდელი დღის იმედო და დღევანდელის სიხარულო.

**გრიგოლ აბაშიძე**

## მოგილოცავთ!

მოგილოცავთ მოსწავლის წელთაღრიცხვის კიდევ ერთ ახალ სასწავლო წელს.

მოგილოცავთ ყველას — სკოლის პირველ კლასელსა თუ უმაღლესი სასწავლებლის ბოლო კურსელს.

სწავლაში თქვენი წარმატების ამბავი კარგად ვიცით.

ამ ზაფხულს თქვენი შრომითი წარმატებითაც გავიხარეთ.

ქართველ მწერლებს გვიყვარხართ, გვეამაყებით, როგორც შვილები, როგორც დვრიტა ჩვენი ერის აწმყოსა და მერმისისა.

ოჯახის, კოლექტივის, საზოგადოების, მთელი ჩვენი ხალხის ხვალინდელი გამარჯვება და ბედნიერება ჭეშმარიტად თქვენსმიერი უნდა იყოს.

ამიტომ ნუ გაიკვირვებთ ჩვენგან თქვენდამი ზოგჯერ გადამეტებულ დამრიგებლობასა და გულშემატკივრობას, თქვენს ყოველ ცხოვრებისეულ ნაბიჯზე.

თქვენ უპირველესი მკითხველები ხართ ჩვენი მწერლობისა.

მკითხველნიცა და განმკითხველნიც... რამეთუ ზოგიერთი ნაფიცი კრიტიკოსის შენიშვნებზე ნაკლებ ყურადსაღებნი როდია თქვენი ფიქრები და შენიშვნები.

ვიცით, დიდ ქართულ კლასიკურ ლიტერატურასთან ერთად, რაოდენ გიყვართ თანამედროვე მშობლიური ლიტერატურა.

ვიცით, რა დიდი მოვალეობა აკისრია თანამედროვე ქართულ მწერლობას მომავლის მშენებელ დიდ მოქალაქეებად, ღირსეულ მამულიშვილებად თქვენი აღზრდის საქმეში.

ისიც ვიცით, რომ თანამედროვე ქართველი მწერლების ბევრი კარგი ლექსი, მოთხრობა, რომანი თუ პიესა გეგულებათ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია თქვენი საყვარელი წიგნების თაროს.

გაიხარეთ, ჩემო საყვარელო მეგობრებო.

დაე, სულ ხუთიანის ნამგლებით მკიდდეთ თქვენი ცოდნის ჭირნახულს ამ ახალ სასწავლო წელსაც.

ნიშნებიდანაც ხომ მხოლოდ ხუთიანი ჰგავს ნამგალს.

შემოდგმის შემობრძანება სულ პირველად თქვენმა ჟრიამულმა გვამცნო.

ამ საზეიმო დღეს გულწრფელი მადლიერებით მივესალმებით თქვენს ამაგდარ მშობლებსა და მასწავლებლებს.

მასწავლებელი ხომ ჭეშმარიტად მშობლის თანაბარია, იგივე მშობელი.

მასწავლებელი — ღამე
უძილო,
ნორჩებზე ფიქრი
დაუშრობელი;
მასწავლებელი —
ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის
მშობელი.

ნუმც მოჰკლებოდეს ჩვენს ქვეყანას ბარაქიანი შემოდგომა.

თქვენი ცოდნის შუქნათელი ჰფარავდეს ხვალინდელ საქართველს!

**იოსებ ნონეშვილი**

## წარსული არ დაივიწყო, მომავალზე იზრუნე!

სამოცდაცამეტი წლის წინათ ათი წლის ბიჭმა გულის ფანცქალით პირველად შევდგი ფეხი სკოლაში, ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარდა სოფელი, მისი მინდორი და ტყე, მდინარე და წყარო, ტოლ-ამხანაგები, პირველ სექტემბრისათვის მაინც გული სკოლისაკენ მიმიწევდა. ვიცოდი, იქ დამხვდებოდნენ ახალი ამხანაგები და, რაც მთავარია, მასწავლებლები, რომელნიც ასე გულუხვად გვიშლიდნენ გულს და გვაწვდიდნენ ცოდნას; ჩემთვის სკოლაში გატარებული ყოველი დღე რაღაც უჩვეულო ბედნიერება იყო, რომელსაც მაშინ კი არა, ეხლა ვგრძნობ და ეხლა მესმის. მაშინდელი ცოდნა გამომყვა მთელი სიცოცხლის საგზლად, ისეთ საგზლად, რომელსაც მოსიყვარულე დედის ხელი და გული დაამზადებს შორს მიმავალი შვილისათვის.

სწავლის დაწყება ყოველ წლივ ბედნიერება იყო ჩემთვის, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვისაც ასეთი ბედნიერება და სიხარულია. სწორედ ამიტომ მოგილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი სიცოცხლე თქვენს სამშობლოს ეკუთვნის, რომლისთვისაც უნდა იმოღვაწეოთ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ერთი წუთითაც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ლამაზი და დიდი შრომით დამშვენებული სამშობლო დაგვიტოვეს. ჩვენს ისტორიას ამშვენებენ გიორგი და იოანე მთაწმინდელები, იოანე პეტრიწონელი და ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი და შავთელი, საბა ორბელიანი და ვახუშტი, ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი. ესენი ანათებენ განვლილ გზას და მიგვითითებენ მომავალი გზისაკენ. ჩვენმა ხალხმა ააშენა ჯვარის ტაძარი და სვეტიცხოველი, ვარძია და გელათი, არა ნაკლები რუდუნებით შექმნა ხუთასამდე ვაზის ჯიში, ქართული ხორბლები, თუშური ცხვარი და ცხენი, მეგრული და ხევსურული ძროხა და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ძვირფასი ძეგლი კულტურისა და ეს იმიტომ, რომ ჩვენი წინაპარნი მომავალზე ფიქრობდნენ, როდესაც ყოველივე ამას აკეთებდნენ; არც დღეს ვართ გულხელდაკრეფილნი. თბილისში ალგეთის ქვით აშენებული შენობები ისეთივე ძეგლად დარჩება მომავალთათვის, როგორც სვეტიცხოველი დარჩა. აქ ბევრს აღარ გავაგრძელებ, თქვენვე ხედავთ ხრამჰესს, ზაჰესს, რიონჰესს, ენგურჰესს, ალაზნის არხსა და სხვა მრავალს.

ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენც გევალებათ მომავლისათვის ზრუნვა, თქვენც ჩვენი ახალი ცხოვრების მშენებელნი უნდა იყვნეთ, ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ცოდნის შეძენა, წარსულისა და აწმყოს ცოდნა. ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოთ თქვენი ქვეყანა, თქვენი სამშობლო, მისი მომავალი, რომელიც მატერიალურად და სულიერად უფრო ლამაზი უნდა იყოს და რომელიც თქვენ უნდა დაამშვენოთ და გაამშვენიეროთ, არც წარსული დაივიწყოთ და მომავლისთვისაც იზრუნოთ.

მაშ იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, გილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს, სწავლის დაწყებას.

**ნიკო კეცხოველი**

### დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისათვის

## საიუბილეო კომისიის სხდომა



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი ქართველი პოეტის, ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მეხოტბის დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომისიის სხდომა. ო. ჩერქეზიამ ილაპარაკა მოსამზადებელ მუშაობაზე, რომელსაც ეწევა საკავშირო საიუბილეო კომისია ა. სურკოვის თავმჯდომარეობით. ამ თარიღის აღსანიშნავი ზეიმობა ოქტომბერში გაიმართება მოსკოვში. 20 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოეწყობა საიუბილეო საღამო, ხოლო მეორე დღეს ლიტერატორთა სახლში გაიმართება პოეზიის დიდი საღამო.

დავით გურამიშვილის იუბილე ფართოდ აღინიშნება უკრაინაში.

მოისმინეს აგრეთვე ინფორმაციები რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე გამოვიდნენ კომისიის წევრები გ. აბაშიძე, ი. ციციშვილი, ს. ცაიშვილი, ა. დვალიშვილი, ნ. გურეშიძე, ი. ნონეშვილი, გ. ჟორჟოლიანი, აგრეთვე საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. სიხარულიძე, რესპუბლიკის სახტელერადიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანებლიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თ. ბადურაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი ო. ნოდია, პარტიის მცხეთისა და კასპის რაიკომების მეორე მდივნები ზ. ანთაძე და ე. შაველაშვილი. ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ჯოგოლაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ე. სანადირაძე.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამზადებს მთელ რიგ საინტერესო წიგნებს. იუბილესათვის მკითხველი მიიღებს პოემა „დავითიანის“ აკადემიურ გამოცემას, დავით გურამიშვილის ლექსებს ქართულ და უკრაინულ ენებზე, ვ. ნორაკიძის მონოგრაფიას „დავით გურამიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი“.

გამოვა გ. ნატროშვილისა და გ. ჯიბლაძის მონოგრაფია „დავით გურამიშვილი“ (რუსულ ენაზე), დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა კრებული (გამომცემლობა „მერანი“).

გამომცემლობა „ხელოვნება“ ქალაქ ლუბლიანის პოლიგრაფიულ ბაზაზე გამოუშვებს „დავითიანის“ სასაჩუქრო გამოცემას, რომელშიც შევა პოემა „დავითიანის“ სრული ტექსტი ქართულ, უკრაინულ (მ. ბაჟანის თარგმანი), რუსულ (ნ. ზაბოლოცკის თარგმანი) ენებზე. რესპუბლიკის სხვა გამომცემლობები ასევე ამზადებენ გამოსაცემად მთელ რიგ საიუბილეო წიგნებს. მზად არის აგრეთვე დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა პწკარედი მოძმე რესპუბლიკებსა და სოციალისტურ ქვეყნებში გამოსაცემად. მათი თარგმანი ეკუთვნით პროფესორ ს. ცაიშვილსა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ს. სერებრიაკოვს.

მემორიალურ ადგილებში — საგურამოსა და ლამისყანაში მიმდინარეობს დიდი სარესტავრაციო სამუშაოები, რესტავრირებული იქნება აგრეთვე ლესია უკრაინკას სურამის სახლ-მუზეუმი, რომლის სახელი დიდი ხანია უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო ექსპოზიცია გაიხსნება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

საიუბილეოდ გამოვა სამაგიდე მედლები, პლაკატები, საფოსტო მარკები, დავით გურამიშვილის პორტრეტები.

სხდომაზე დაამტკიცეს საიუბილეო ზეიმობის პროგრამა. იგი 11 ოქტომბერს დაიწყება საქართველოს მწერალთა კავშირის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიით. ზეიმობის მონაწილენი ჩავლენ საგურამოში, სადაც დიდი პოეტი დაიბადა, მონაწილეობას მიიღებენ ლამისყანაში სახალხო დღესასწაულ „გურამიშვილობასა“ და პოეზიის საღამოში, რომელიც სურამში მოეწყობა.

13 ოქტომბერს დიდი საიუბილეო საღამო გაიმართება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. საიუბილეო ზეიმობაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოველი, ლენინგრადელი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები (საქინფორმი).

# ორი სურათი

### ვანო ჩხიკვაძე

წიწვებდაფენილ მიწაზე ვწევარ ფიჭვს მიყრდნობილი და მთებს აცილებული ვეება მზე თვალებს მიხუჭავს. დაშვებული ქუთუთოები მომთენთავი, მცხუნვარე სიყვითლით არის დალიბრული. გაურკვეველი ნეტარებით ივსება სხეული და ლაგამწაყრილი ცხენივით შფოთიანად ფრუტუნებს ყველა საზრუნავი, რომელიც დღემდე მქონია ანდა მომავალში მექნება. გამორთულია მექანიზმი, მოშვებულია დაძაბულობის თასმები. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საბრძოლო დავალებიდან ვბრუნდები, ათას განსაცდელსა და შიშს გამოვლილი. უკან დარჩა დაგეშილი ძაღლების ლავლავი, ლულების ლაპლაპი და აცდენილი მოზუზუნე ტყვიებით ჩათიბული ბალახი. თითქოს შემთხვევითობამ კი არა, აუცილებლობამ, თვითონ ბუნებამ გადამარჩინა. ამაფარა ნისლი, ლელიანი, ბუჩქნარი და ტოტებდაშვებული ხეები, რათა ამ მშვენიერი დღის დაბადებას, მზის ამოსვლას, ერთი მაყურებელი მაინც ყოლოდა, მაყურებელი და მსმენელი მრავლისმეტყველი სიჩუმისა. ეს სხვა სიჩუმეა, ენერგიული, სიცოცხლით სავსე, ძალდაუტანებელი და სმენის დამტკბობი. არაფერი აქვს საერთო გარდაცვლილის ოთახში დაგუბებულ, დამჭკნარი ყვავილების სუნით აშმორებულ, გამაღიზიანებელ სიჩუმესთან. ან იმ დუმილთან, მარტოობით გულშეწუხებულ კაცს, შუაღამისას, საწოლიდან რომ წამოაგდებს... ასე რომ, სიჩუმეც ისეთივე მრავალსახოვანია, როგორც სხვა ყველაფერი ამ ქვეყანაზე. აქაც მთავარია შინაარსი, თორემ სვეტიცხოვლის ქვას და გზაზე ჩამოგორებულ კლდის ნატეხსაც საერთო სახელი აქვთ, მხოლოდ სახელი — ქვა!..

ეს ზაფხულიც მიწურულა. აგვისტოს ბოლო დღე უკანასკნელი ფოთოლივით ქანაობს — „და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის" — რამდენი სევდიანი მზერა მიჰყვება დღეთა თავბრუდამხვევ დინებას... სხვადასხვა ასაკისთვის სხვადასხვანაირად აღიქმება დროის მსვლელობა, — ბავშვებისთვის სულ იმის ოცნებაში მიზოზინებს, დიდები როდის გახდებიან, მოზრდილებისთვის — უფრო სწრაფად გადის, მოხუცებისთვის კი... რა გეჩქარება, შე დალოცვილო — ჩიფჩიფებენ და სანთლისფერ სახეებზე ისეთი ნაღველი და შიში შეყინვიათ, თითქოს დაოთხილ, გაგიჟებულ ბედაურებზე ისხდნენ. ასე რომ ყველაზე ზუსტი საათიც კი ტყუის, მაგრამ რას გააწყობ ამ პედანტურ, გულცივ მექანიზმთან — პირიქით, ვეფერებით, ველოლიავებით, რომ არ მოგვეშალოს, დროს არ ჩამოვრჩეთ — საერთო დროს, რომელიც ყველასთვის მაინც სხვადასხვანაირად გადის.

ბედნიერები საათს არ უყურებენო — ეს გამოთქმა ალბათ საათის გამოგონების დღიდან გაჩნდა. ამდენი ხნის განმავლობაში ლაზათი დაკარგა, ძველი ანეგდოტივით გაცვდა, მაგრამ შენზე კი ზედგამოჭრილია — საათს არ უყურებ იმიტომ, რომ ჯერჯერობით ცნობა არ იცი, კიდევ იმიტომ, რომ სულაც არ გაინტერესებს პაწაწკინტელა ისრების ერთფეროვანი ფუსფუსი, რადგან შენი დრო ჯერ წინ არის და შეგიძლია გულუხვად ხარჯო. ერთად ვცხოვრობთ შენ — „მილიონერი" და მე — „ჯიბეშეთხელებული", რომელიც უკვე ეჭვიანობს: — რამდენი დამრჩა, ნახევარი?.. მესამედი?.. ნაკლები?.. მიუხედავად ამისა, იცი, როდის ვიყავი ყველაზე ბედნიერი? თანაც, შენ წარმოიდგინე, საათს შევყურებდი, სამშობიაროს ვესტიბიულში, დერეფანში გასასვლელ კარს ზემოთ დაკიდულ საათს — შენ უნდა მოვლენოდი ამ ქვეყანას...

„მე მზისთვალმან, თანამეცხედრემ ლიპარიტისამ, ავაგე ტაძარი ესე საოხად სულისა ჩემისა" — გვამცნობს გომარეთის ტაძრის წარწერა და ალბათ შვილიც ის ტაძარია, რომელსაც ვტოვებთ ჩვენი არსებობის დასტურად, ჯიშის გაგრძელებად, „საოხად სულისა" და იმედად, პატრონად ცოცხალისა და მკვდრისა, მტერ-მოყვრის პასუხის გამცემად.

ერთი გაყვითლებული სურათი გამახსენდა, რომელიც ჩვენი, ოჯახური ალბომის პირველ გვერდს ამშვენებს. სურათი მოსწავლის რვეული რომ გადაკეცო იმხელაა.

რიყის ქვით ნაშენ, შეულესავ კედელზე ფარდაგია გაჭიმული. კედლის წინ, მოკლე ძელ-სკამზე კოპებშეკრული კაცი ზის. ფარცხივით ჩამოშვებული ულვაშის ბოლოები ზედა ტუჩს უფარავს. ძვალმსხვილი, ნიჩაბივით ხელები მუხლისთავებზე უწყვია, თითქოს უნდა საკვრებელი დამალოსო და მეტყველი, ჯიუტი თვალებით იყურება. ცოტა ვაჟა-ფშაველას წააგავს, მაგრამ ჩემი წარმოსახვით, რატომღაც ზუსტად ასეთი უნდა ყოფილიყო თევდორე ბერი, მტრისადმი სიძულვილით დანაღმული მკერდითა და გაუტეხელი მზერით. ხომ გახსოვს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „თავდადებული მღვდელი თევდორე?" გაიკვირვებ, საიდან სადაო. რა ვიცი, მე ასე მგონია — ყოველ შემთხვევაში სულის მსგავსებაა მთავარი და არა ფოტოგრაფიული სიზუსტე.

კაცს, გვერდით, ჩიხტიკოპიანი ნაღვლიანი სახის ქალი უზის. მოლილი, ერთმანეთში თითებჩახლართული ხელები კალთაში დაუდევრად უყრია, თითქოს ცომის ზელითა და თონის სიმხურვალეში ტრიალით ატკეცილი ხელის მტევნები მას კი არა, ვიღაც სხვას ეკუთვნოდეს. თითქოს სადაცაა წამოდგება და კალთიდან ლობიოს ჩენჩოს გადმოიფერთხავს.

ცოლ-ქმარს შუაში ტიტლიკანა, სამიოდე წლის ბიჭი ჩაუყენებიათ. გატიკნული და საყვარლად სასაცილო.

სურათზე კიდევ ორი ბავშვია — უფროსი და შუათანა — ისინიც ბიჭები. უფროსს ჰა და ჰა მოზვრობა ეთქმის. შუათანა კი, ახლადმოცვლილი, სარძევე კბილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — ჯერ მთლად ნედლია და სხვებზე მეტად გაოცებული.

ოჯახს მეოთხე ბიჭიც ჰყავდა, მაგრამ ამ სურათზე ვერ მოხვდა ფრიად სერიოზული და საპატიო მიზეზის გამო — ჯერ დაბადებული არ იყო.

სურათი ორმოცდაათიოდე წლის წინ არის გადაღებული ჩვენი, მამაპაპური სახლის კედელთან.

ვხედავ — სურათის გადაღებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როგორ შევარდა შუათანა ბიჭი ოთახში, ძახილით — მესურათე მოვიდაო. ბავშვები სადღვებელს ჩაფრენილ დედას შემოეხვივნენ ყელის წევითა და ვედრებით. მერე ოთხივენი სათონის გვერდით, სარის ჩორკნაში გართულ კაცს თავს დაადგნენ. კაცმა დამდურებულივით ამოხედა ცოლს — რა მესურათებაო — უნდოდა ეთქვა, მაგრამ სულ პატარამ ისე შეჰღიმა და სიყვარულით მოუთათუნა ლოყაზე ხელი, რომ მოტყდა. წალდი ჯირკზე დაარჭო და ტანსაცმლის გამოსაცვლელად შევიდა. ყველანი უკან მიჰყვნენ გახარებული კუსკუსით.

მალევე გამოვიდნენ — მე შენ გეტყვი და ტანსაცმლის არჩევანში წაუვიდოდათ დრო. კედელზე ქალის ნამზითვი, გახუნებული ფარდაგი გაჭიმეს. ბავშვებმა ხვნეშით მოათრიეს ძელ-სკამი. ჯერ მშობლები დასხდნენ. კაცმა უმცროსს პერანგის ამხანაგიც გააძრო — აქაოდა ესეც ნახონ რისი პატრონი არისო და ეგრე, დედიშობილა დააყენა სკამზე. უფროსი სკამის უკან დადგა, შუათანა მშობლების ფეხებთან ჩაცუცქდა. ფოტოგრაფმა შავი ხავერდის ნაჭერი წაიფარა თავზე. ერთხანს აპარატის უკან იფუთფუთა. მერე ხელი გამოყო, აპარატზე ჩამოკონწიალებულ რეზინის ბურთულას წაავლო ხელი... წამიც და... ფირმა ალბექდა ოჯახი...

ფოტოზე დროა გაყინული, როგორც საბუთი იმისა, თუ როგორი არიან ის ადამიანები, ვისი სისხლიც ჯერ ჩემში და მერე შენს ძარღვებში გადმოვიდა. მაგრამ სურათმა ამის შესახებ არაფერი იცის. ის მხოლოდ თავის თავში ცხოვრობს და იმ ერთადერთ წამს იმეორებს, ფოტოგრაფის ხელმა რომ ჩამოატეხა ჟამთასვლას — მრავალწახნაგოვან გოლიათს და ამ უბრალო ადამიანებს აჩუქა, დაგვიტოვა ჩვენ, როგორც სევდიანი რელიქვია...

სურათს კონკრეტული მიზანი აქვს და არც ევალება იცოდეს მერე რა მოხდა. ამ კითხვას მხოლოდ იდუმალად, ძლივსშესამჩნევად გამოხატავენ ბავშვებისა და უფროსების სახეები — რომლის პასუხიც, დროის წყალობით მე ზედმიწევნით კარგად ვიცი, და ის უფრო დიდ ტკივილთან არის წილნაყარი, ვიდრე იმ ადამიანურ სიხარულთან, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველას თანაბრად ეკუთვნის და თანაბრადვე უნდა მიიღოს...

რა მოხდა მერე, როცა ფარდაგი ჩამოხსნეს, ძელ-სკამი ძველ ადგილას დადგეს და ისევ ყოველდღიურ ფუსფუსს, თავისი ცხოვრების რიტმს დაუბრუნდნენ? — უფროსი შვილი ომმა შეიწირა, ჯერ მთლად ახალგაზრდა, ისე რომ „საოხად სულისა" არაფერი დარჩენია. კაცი, პაპაჩემი ჩემი დაბადების წინა წელს გარდაიცვალა. ა, ის პატარა, დედიშობილა რომ იდგა მშობლების შუაში, ორიოდე წლის წინ იმსხვერპლა ავადმყოფობამ...

უამრავჯერ ნათქვამი უნდა გავიმეორო:

მინდა იცოდე, რომ ყველაფერი არც ჩვენი დაბადებით დაწყებულა და არც ჩვენი გარდაცვალებით დასრულდება. ამიტომ უნდა საფუძვლიანად გრძნობდე, მხოლოდ ახლო წარსულს კი არა — იმ საუკუნეების თვალჩაუწვდენელ სიღრმეებს, რომელიც ჩვენმა სისხლმა გამოიარა, უდიდესი ტანჯვითა და ბედთან კირთებით, გამარჯვებათა სიხარულით, დამარცხების სიმწრითა და ღალატით შეურაცხყოფილმა. მისი შემადგენლობა ათასჯერ აღრეულა, ტყუილ-უბრალოდ მილიონჯერ დაღვრილა და შერევია წყალსა და მიწას, ვიდრე შენამდე მოაღწევდა, მაგრამ ამ სისხლს ყველაზე მთავარი მაინც არასოდეს არ დაუკარგავს — უდიდესი, თავგანწირული სიყვარულის უნარი. პატარა ერს — დიდი ხანჯალი უნდა ჰქონდესო — უთქვამს მთიელს და ალბათ ეს ხანჯალი ჩვენთვის სიყვარული იყო, სიყვარული წარსულისა და მომავლისა.

არის ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ქართლში, სოფელ კარბში ჩაუწერიათ:

„თხას უთხრეს: — მგელი
მამკვდარა,
თხამ ნავარდი ჰქნა, გაიქცა.
— თხაო, ნუ გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა.
იმას რომ დარჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა".

არ ვიცი, ამ ლექსის ავტორმა იცოდა თუ არა „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი"-ს არსებობა, მაგრამ მთავარი და საინტერესო აქაც მგლის — მოუთვინიერებელი ცხოველის სიმბოლიკაა, რომელიც ზოგადად და მაღალმხატვრულად გამოხატავს ჩვენი წინაპრების რწმენას და იმედს. ამ იმედში კი შენ და შენი თანატოლებიც იგულისხმებით და ისინიც, ვინც მომავალში უნდა მოვიდნენ. მათი იმედის ღალატი კი არაფრით არ შეიძლება, არამეთქი, ათასჯერ, არა! ყველა ერთი, გამობრძმედილი და ძვალ-რბილში გამჯდარი სურვილით უნდა მოევლინოს ჩვენს მშვენიერ ქვეყანას: ...„შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა"...

●

პირველი სექტემბერი მოვიდა — ერთი იმ იშვიათ დღეთაგანი, როცა სადავემოშვებული მივყავარ ცვალებად განწყობილებას. მოგონებების კარუსელზე თავბრუდასხმული ვწევარ და ხელისგულებში ჩარგული თავი ისე მიჭირავს, თითქოს ჭურჭელში კრამიტიდან ჩამოსულ წვეთს ვაგროვებდე. ზარები კი წკრიალებენ, ძალიან შორს და ძალიან ახლოს — გაბმულად, სხვადასხვა ხმაზე. გეგონება კონცერტის წინ სიმფონიური ორკესტრის ინსტრუმენტებს ამოწმებენო. იფურცლებიან დღეები, ალბომში ჩაკრული ჰერბარიუმის ყვავილებივით შემჭკნარნი, ფერდაკარგულები, მაგრამ მძაფრი, ტკივილიანი სურნელებით.

ნებისმიერი დარგის ოსტატი თანდათან თავის პროფესიას ემგვანება. ხშირ შემთხვევაში, დაკვირვებული თვალი, ძუნწ ჟესტიკულაციაზეც ამოიცნობს, ვინ რას საქმიანობს. მითუმეტეს პედაგოგი — თავისებური ეკლესიის წმინდა მსახური, მოუსვენარი მრევლის კეთილი მწყემსი, სათვალის მილმა (რატომღაც მგონია, რომ მასწავლებელს ძალიან შვენის სათვალე), დამრიგებლური გამომეტყველებით, ზომიერი დიდაქტიკით შეზავებული ტონით... ჭკუის მასწავლებელი ბევრი გვყავს მთელი ცხოვრების მანძილზე, პედაგოგი — ცოტა. იმ „ცოტაში" იყო ჩემი უცხო ენის მასწავლებელი — ქალბატონი თამარი.

ის, რაც ახლა მინდა მოგიყვე, ჩემი ხსოვნის სურათია, ხელშეუხებელი და სხვისთვის აღუქმელი, მაგრამ ფირზე გადატანილ სახეზე არანაკლებ შთამბეჭდავი.

ერთ-ერთ პირველ სექტემბრის გაკვეთილზე ამ სიტყვებით შემომოვიდა:

— როგორ გაატარეთ, ბავშვებო, ზაფხული?.. ალბათ უფრო დამიჭკვიანდით, არა?.. თქვენ ოცდაათნი ხართ, მე მხოლოდ ერთი, ყველას ერთდროულად ხომ ვერ მოგისმენთ, აბა, გიორგიმ დაიწყოს...

— კარგად კი გაატარებდა, ორი საშემოდგომოს პატრონი! — წამოიძახა ვიღაცამ როყიოდ და კლასს სიცილის ქარიშხალმა გადაუარა. ათობით ბაფთიანი და ქოჩორგადაგლესილი თავი აწითლებული ბიჭისკენ მიტრიალდა. მასწავლებლის სახეზე წამში გაქრა სათნო ღიმილი და თვალები ვედრებით აევსო:

— ნუ, ბავშვებო, ამხანაგს გულს ნუ ვატკენთ. წელს იბეჯითებს და... დაჯექი გიორგი... გერმანული სულ დაგავიწყდათ თუ ცოტა კიდევ გახსოვთ? — თვალი გამომცდელად გადაგვავლო და საკლასო ჟურნალზე გამხდარი ხელები ისე დააწყო, თითქოს ვინმე ჟურნალის წართმევას უპირებდა...

რამდენიმე დღის მერე, სხვა საგანში საკონტროლო წერა გვქონდა.

ჩემს გვერდით მჯდომ გოგოსკენ გადავიხარე და ჩავჩურჩულე:

— სამელნე შუაში დადგი!

— დაგავიწყდა? — სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა, წამოხტა და აწეული თითი, მერხებშუა მომავალ მასწავლებელს ლამის თვალში წაატაკა — მელანი არა აქვს და ჩავაწობინო?

გავშრი. ასეთ სიმუხთლეს არ ველოდი.

— ადექი ფეხზე! — მასწავლებლის ბეჭდებით დახუნძლულ თითებს შემკრთალმა დავხედე. — როდემდე უნდა გქონდეს სამოწყალოდ ხელი გაშვერილი, მათხოვარი ხარ? იმავ წამს კინკრიხო ამეწვა. „მაინცდამაინც თვლიანი ბეჭედი მომხვდა" — გავიფიქრე და ერთიანად გაბადრულ გოგოს ბოლმით გადავხედე — მომეცი აქ რვეული... — ცარიელ ფურცელზე, წითელი მელნით, ანკარასავით თავაწეული ორიანი გაიწკაპა, მასწავლებლის ისეთივე გაურკვეველი ხელმოწერით — როგორიც თვითონ იყო, ქალბატონი... სახელი აღარ მახსოვს თუ ძალით გადავივიწყე, ვერ გეტყვი...

შემდეგი გაკვეთილი გერმანული გვქონდა...

— რატომ არ წერ? — ჩარგული თავი ამიწია და დაწითლებულ თვალებში ჩამხედა.

— სამელნე არა აქვს! — ნიშნის მოგებით გადმომხედა მეზობელმა და ფურცელზე კალმის წრიპინი შეწყვიტა — მოლოდინით, აბა, ახლა რა მოხდებაო.

— მერე, შენ ხომ გაქვს?

— ჩავაწობინო? — გაოცდა გოგო.

— მაგას რა ჩემი თქმა უნდა. თქვენ ხომ ამხანაგები ხართ...

— აბა, წინა გაკვეთილზე რომ...

— მოხსნა თავი და ყველაფერი წვრილად მოუყვა...

თვალწინ მიდგას: ქალბატონი თამარის შეწუხებულ სახეზე იმდენად თავისი „კოლეგის" თავშეუკავებლობით გამოწვეული გულისწყრომა კი არა, უფრო პატარა, ენაჭარტალა გოგოს მისამართით მიმართული სევდა და შიში იხატებოდა.

— კარგი ადამიანები ასე არ იქცევიან, არა! — უთხრა თანაკლასელს და ფანჯრისკენ შებრუნდა. დიდხანს იდგა უძრავად, შემოდგომის მოკრიალებული ცის რომელიღაც გაურკვეველ წერტილს მიჩერებული.

როცა შემოტრიალდა, გამხდარი, ოდნავ შენაოჭებული ყელი წითლად ჰქონდა დაფოთლილი. შავი ხელჩანთა უხმოდ გახსნა და გვერდზე შებრუნებულმა წამლის შუშიდან ხელისგულზე გადმოგორებული ყვითელი აბი ტუჩებთან მიიტანა...

ერთ-ერთი ქალაქის ფერდობზე, თამარ მასწავლებლის საფლავიც არის, მოკრძალებული და სადა, როგორც მისი თმის ვარცხნილობა, როგორც მთელი მისი არსებობა.

მიდის ხალხი, რომ აქ მოზიდული მარმარილოს დაუმსახურებლად დადგმული ძეგლების, უსიამოვნო მუზეუმის აზრდაკარგული წუხარების ხილვით გაერთოს.

მალე პირველი სექტემბრის ზარებს დარეკავენ და მივალ სხვებისთვის შეუმჩნეველ ძვირფას საფლავთან, როგორც ავადმყოფ მასწავლებელთან — ამაოდ რომ ელიან ბავშვები და ჩუმად ვეტყვი:

— პირველ სექტემბერს გილოცავ, პატივცემულო თამარ!

ისევე, როგორც უშუალო წინაპრის, ამ ქალის სიცოცხლეც გრძელდება ჩემში, მისი სურათიც ჩემთან არის, ხსოვნის საგანძურში.

მინდა იცოდე, რომ პატიოსნად გავლილი ცხოვრების შემდეგ ადამიანები კიდევ ძალიან დიდხანს ასხივებენ და ისინი ჩვენთვის ხელთუქმნელ ძეგლებს ჰგვანან...

დრო კი მიდის და წავა, ისეთივე რიტმით, როგორც მილიონი წლების უკან და მილიონი წლების შემდეგ. მხოლოდ ის არის უცვლელი გამგებელი ყოველივესი და ყოველთა „ქვეყანასა ზედა". ადამიანების მიერ შექმნილ კანონებს ის მხოლოდ ერთი შეხედვით ემორჩილება — სინამდვილეში მათი აღიარება და უარყოფა მხოლოდ და მხოლოდ მისი კარნახით ხდება.

ხსოვნაში შემორჩენილ ძვირფას სახეებს ერთი სურთ მხოლოდ — დიდხანს, ძალიან დიდხანს ახსოვდეთ მათი არსებობა შთამომავლებს, როგორც ხის წვეროზე გასულ ყლორტებს, ყველაზე უკიდურესი და შორეული წერტილი — ფესვები.

---

### მამუკა წიკლაური

# წინაპრები

I

მთელი სამყაროს პატრონივით ფხიზლობდა მთვარე
და ვარსკვლავები კამკამებდნენ წყაროს თვალებში.
ბანზე, გადამფრენ ფრინველივით იჯდა მეჯქალი —
აქეთ მომავალ ვაჟზე ფიქრობდა.
გვიან დაბრუნდნენ მთიბლები სახლში
და... ცეცხლზე შედგმულ ქვაბებს ჩახედეს.
ვინ იფიქრებდა, რომ ღრუბელი უკვე დაიძრა,
რომ ხვალის დილა ამღვრეულ წყალს დაედრებოდა —
დაილეწებოდა ხეხილი, გაითელებოდა ჯეჯილი,
აჭიხვინდებოდნენ სალაშქრო ცხენები
და ბავშვებს დაესიზმრებოდათ ჩამოვარდნილი მზე.
ხევისბერი კი საკიდრიდან ჩამოიღებდა
ჯაჭვის პერანგთან და ფარ-ხმალთან დაკიდულ სიტყვებს:
— ისევ დაგვეცნენ, უნდა დაუხვდეთ,
უნდა გავიდეთ, დარეკეთ ზარი!

II

ჭალის სოფლებზე შავმა წყალმა გადაიარა —
ცხენი მირბოდა უპატრონოდ, ჭიხვინ-ჭიხვინით,
უნაგირიან-ავშრიანი და... სისხლიანი.
მიაცილებდა ცხენს ჩურჩული ჭალის სოფლების:
— ვაი, ვისიც ხარ, ვისი სულიც დარჩა ტიალად!
— ვაი, ვისიც ხარ და ვის მანდილს შეღებავ შავად!
— ვაი, ვისიც ხარ, ვისი ჭირის ამბავს მიიტან,
ვის დაუყუდებ ჯავრის კლდეებს სახლის კარებთან!
. . .
ცხენის ჭიხვინზე ბერიკაცმა გამოიხედა
და სიხარული უცებ ყორნის ფრთებმა დაბურეს
. . . და ცხენის მზერა ისრად მოხვდა გულის ფიცარზე
. . . და კაცის გული კი არ გასკდა —
შუაზე გატყდა —
მწარე ჟამისგან გამომშრალი და ქვადქცეული.
მაინც აზიდა უნაგირზე დაშლილი ტანი
და მკვდარი შვილის საძებნელად დაუყვა ჭალას.
ფიქრში გველივით სრიალებდა და სისხლს წამლავდა —
თათარი... ნეტავ ძველებურად მიჭრიდეს ხმალი...

III

მიწაზე ეწყო: ჯაჭვის პერანგი,
ქამარ-ხანჯალი, ფარი, შუბი, მათრახი, ქუდი,
ჯვრებით ნაქარგი ახალუხი და პაჭიჭები.
შემოხვეოდნენ შაოსნები ა, იმ ტალავარს,
ხმით დასტიროდნენ, მარხვ ზარით დაჰქვითინებდნენ.
— რა ამბავია? — იკითხა მგზავრმა —
უცხო სოფელზე ჩავლილმა კაცმა.
— ბებეთ ქოთილა ქისტებს მოუკლავთ,
დაუკაფავთ და ხორცი კლდეზე გადაუყრიათ,
კაცის მაგივრად ახლა იმის სამოსს ტირიან.
— ეგეთი რაღა დააშავა, რა ცოდვა ჰქონდა,
მაგ შავზე შავი სიკვდილისთვის რად გაიმეტეს?
— შვილი მოუკლეს — სამწყემსურში მძინარი მოკლეს.
მაგან შვილი კი დაიტირა, წესი აუგო...
და სამუდამოდ გადაიკარგა, —
ამბვად ვიცოდით, ქისტებს ჭირად გადაუვიდა,
ოცდათორმეტი კაცი მოუკლავს...
მერე მაგისი დროც დადგა და მაგას დავტირით.

IV

სამლეთომალლობას, აკეენთ ლეო
მოჰყვა პაპისგან გაგონილ ამბავს:
— ფარაში დათვი შემოგვეჩვია,
ცხვარი გაჰქონდა, დაიზრიყვა ფარის ძაღლები,
არც კაცის ძახილს, არც თოფის ხმას უშინდებოდა.
ერთ დღეს კვალს გავყევ,
მურყნიანის თავ რომ გადავედ,
რა ვნახე... კაცი ეკიდა ხეზე,
ნნელით დაეხრჩო თავი, იმ ბეჩავს.
ხალხს დავუძახე. ჩამოვხსენით. დავასაფლავეთ.
ვერავინ იცნო. გავიკითხეთ, ვერაფერს გავხდით...
იმავ წლის ზამთარს, მთით გადმოსული
ერთი ჯუთელი კაცი მესტუმრა.
სიტყვას მოჰყვა და იმ ჩამომხრჩვალ კაცზეც ვუთხარი.
სტუმარმა მწარედ დაიგმინა:
— ჩემი ძმა იყო,
ოცი წლის შვილი შემოაკვდა —
უკან რად დადექ,
სათემო ლაშქარს რად დააკლდიო.
იმ დღიდან გაქრა... აქ მოსულა ეგ უბედური.

V

სოფელში მოკვდა მოკვეთილი.
არვინ მიხედა ჭირისუფლებს,
სამძიმარზე არვინ მისულა.
ორთ ჩაატარეს ხარ-მარხილით სასაფლაოსკენ —
დედამ და მამამ.
მიდგნენ საფლავთან, ჩაასვენეს და ჩაატირეს:
— მშვიდობით იყავ,
მარტოს გტოვებთ,
მარტოობას ხარ დაჩვეული,
სიკვდილს შეჰბრალდი აქ ყოფნისთვის
და წაგიყვანა —
ცოდვის მზიდავი ყველასაგან მოძულებული.
. . . მართლა ძალიან მძიმე იყო ცოდვილის ცოდვა,
ენა ვერ იტყვის, გულიდან ვერ გამოეტევა,
რაისთვისაც ის მოიკვეთეს, ხატში არისხეს
და მოსაკვეთი სამანი ჩასვეს:
ლაშქრად ყოფნისას, ერთად შეზრდილ მეზობლისათვის
ქისტების ტყვიას მუხლის ძვალი დაუმტვრევია.
ამან დაჭრილი მიატოვა და გამოიქცა.

VI

ფშავი აიკლო მოთარეშე ჯალაბაურმა.
ბოლოს უყელეს, ვიწროებში გამოამწყვდიეს
და მისი რაზმი ჩამდინარე სისხლად ჩაადნეს.
თვითონ გაიქცა, ვერ მისწვდნენ და ერთი ნაბიჯით
ლაშარის ხატის ნაკრძალ კვრივში შეასწრო მდევრებს.
ვინც უნდა იყოს, რაც უნდა დიდი ცოდვა ეკიდოს,
კვრივში შესული კაცის მოკვლა არ შეიძლება.
ვერ მოკლეს, მაგრამ მოიტანეს ჯაჭვის საბელი,
მოსდეს კირკალი და ძაღლივით დააბეს იფნზე.
მიდის დღეები და ღამეები.
მოდის წვიმები, მოდის თოვლი, უბერავს ქარი
და ისმის კვნესა უღრანი ტყის ბნელ ღამეებში,
ისმის რკინის და ძვლის ჩხრიალი ლაშარის გორზე.
სისხლი შრება და ხორცს ბუზები შემოესევიან.
რა დარჩა, მხოლოდ სულიღაა დაბმული ჯაჭვით.
—რას შვრებით, ხალხო, ეგ გულები რამ გაგიყინათ,
ეგეც კაცია, ღვთისშვილია, რამ გაგაქვავათ!..
— არა, ეგ ჯაჭვი მუქარაა — მოხვალთ და აქ ვართ!
ებას მაგ ჯაჭვით, რომ სულიც ვერ გაბრუნდეს უკან!
შელობილია ჩვენი მიწა უმკაცრეს ლობით —
ეს სიბრძნე ცეცხლში და ყინვაში არის გავლილი,
და სამშობლოს მთებს ხერხემალი არ ელუნებათ!

VII

ის სოფლის გზაზე უნახავთ მკვდარი —
ხელში სახრე და თოკი ეჭირა,
ჩამხობილიყო მარხილის წინ, უღელთან,
ისე,
თითქოს ქალამნის თასმას იხვევსო.
თავს დადგომოდნენ,
დაჰყურებდნენ პატრონს ხარები,
უკვირდათ ამდენ ხანს შესვენება.
თქვენ გახსოვთ, მთებო,
ხარ-გუთანთან და ხარ-მარხილთან
იყო ყოველთვის ის გადაბმული...
ამ ჰაერს ახსოვს მისი ძახილი:
— ლეგავ, გადმოდი, თითო დავლიოთ...
მხოლოდ ხანდახან ტოვებდა იგი
თავის ხარ-მარხილს, თავის სახლ-კარს და აქაობას —
იცვამდა რკინის პერანგს და გზაზე,
ვით სახლის დროშა, გამოდიოდა.
დროშა ამაყად ფრიალებდა შვილის თვალებში —
ჯერ ჯოხის ხმლით და ჯოხის ცხენით რომ ბობოქრობდა.
სამშობლოს მიწავ,
მიიბარე უწმინდესი შენი ნაწილი!
სხვა გაუძღვება ამ ხარებს ახლა
და სხვა გამოვა ოჯახის დროშად,
სხვა ჯოხისხმლიანს გაუნათებს თვალებს ის დროშა.
სამშობლოს მიწავ,
მიიბარე უწმინდესი შენი ნაწილი!
მის ხელ-ფეხს, მის გულს —
დაქანცულს და შენთვის შეწირულს,
კი არ მარხავენ — ფესვებივით რგავენ შვილები.

VIII

მეშვიდე დღეა, წვეთი წყალი არვის უნახავს
და თიხის მილებს — გადაჭრილ ვენებს —
შეჰყურებს ალყადარტყმული ციხე.
ალღოთი იგრძნო ციხისთავმა:
ციხეში გაჩნდა დანებების შავი ბაცილა.
ერთად შეჰყარა მეციხოვნენი
და თითქოს კლდიდან მძიმე ქვებს ხლეჩდა,
ისეთი ტანჯვით თქვა ეს სიტყვები:
— ვისაც ციხიდან გასვლა უნდა, ეხლავ გავიდეს,
მტრისთვის კარები ჩვენი ხელით არ გაიღება,
თუ ჩვენი ჯარი არ მოვიდა,
აქ უნდა გავწყდეთ...
და იგრძნო, მოკვდა დანებების შავი ბაცილა,
ის ვეღარავის მზერას ვეღარ გაამრუდებდა.

---

# შევხედოთ უმთავრესს...

### ეთერ სახვაძე

სასწავლო წელი და შემოდგომა ერთ დღეს გვეწვევიან ხოლმე.

მაგრამ ამ დროს შემოდგომა ძნელად რომ ვინმეს გაახსენდეს. ჩვენს გონებაში ეს დღე მთლიანად პირველ ზართან გადაჯაჭვულა. ჩვენ წარმოვიდგენთ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, თავიანთი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით, რომლებიც დღესასწაულებრივი მხიარულებით აღებენ სასწავლებლების კარებს. და ჩვენს წარმოდგენაში ეს სურათი იმდენად ვრცლად არის გაფენილი, რომ სხვა არაფრისთვის ადგილი აღარ დარჩენილა.

ხოლო შემოდგომა შემოდის ისე უხმოდ და შეუმჩნევლად, რომ სასწავლო ახალწლობაც რომ არ მეტოქეობდეს, მისი შემობრძანება შეიძლება მაინც გამოგვეპაროდა.

ამ სამი წლის წინანდელ პირველ სექტემბერს ლეჩხუმში შევესწარი, ლეჩხუმური შემოდგომისთვის ვიყავი ჩასული, მაგრამ იმ დღეს მასპინძლებმა შემოდგომა დაივიწყეს, სკოლები ზეიმობდნენ და ყველას იქ მიეჩქარებოდა. პირველი სექტემბერი სწავლის დაწყების დღესასწაულს დაესაკუთრებინა და იმდენად დიდი იყო ამ დღის ძალა, რომ, თუმცა საშინლად წვიმდა, გოგო-ბიჭები, ქათქათა ზედატანებში და ახალ ფეხსაცმლებში გამოწყობილნი, ზეიმურ განწყობილებას არ იშლიდნენ, მშვიდად მიაბიჯებდნენ, თითქოს თავსხმა არც ყოფილიყო.

მაშინ გავიფიქრე, რომ ახალ სასწავლო წელს, მართლაც, რომ დიდებულად ვხვდებით ხოლმე, მაგრამ როცა ვაცილებთ, სად ქრება თავდაპირველი აღფრთოვანება? თუმცა იგი ერთბაშადაც არ ქრება. მისი ცეცხლი თანდათან ნელდება ჩვეულებრივი სადაგი დღეების მწკრივში. იქნებ დაღლილობა იჩენს თავს? იქნებ შინაგანი უკმარობის გრძნობის ბრალია? ან იმედების გამტყუნებისა მეთქი.

ამასვე ვფიქრობ დღესაც, ახალი სასწავლო წლის მოლოდინში. ჯერ არ დამდგარა და მის დასასრულზე ვფიქრობ, ანუ იმაზე, თუ რას მოუტანს იგი ჩვენს სასწავლებლებს.

ყოველი მონატანი ხომ ორი რიგისაა: ერთი ნივთიერს განეკუთვნება და მეორე სულიერს სფეროს. პირველი გაცილებით ადვილი აღსარიცხია, თუმცა დიდი სხვაობა არც აქ შეინიშნება. მხოლოდ მაშინ, რამდენიმე წელი რომ გაივლის, ცვლილებები თვალში საცემი ხდება. მართლაც, ერთ დღეს არ აშენებულა არც ერთი სოფელი.

ამიტომ ჯერ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა სწორედ იმ, ერთი თვალის გადავლებით შესამჩნევ ცვლილებებზე, რომელთა მხილველიც ამ დღეებში გავხდი.

დიდი ხანია დუშეთის რაიონის სკოლებისა არა ვიცოდი რა. ადრე კი თითქმის ყველა სოფელში ვყოფილვარ და მძიმე სანახავიც მინახავს. 150-მდე დიდ-პატარა სკოლიდან რამდენიმეს თუ ჰქონდა შესაფერი შენობა. ძნელი აღსაწერია, რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა დანარჩენთ.

ახლა კი დიდი ნაწილი წელში გამართული დამხვდა, მარტო ამ ხუთწლედში ახალ შენობებში გადასულან ჭილურტის, შუახევის, ებნისის, არღუნის, ყვავილის რვაწლიანი სკოლები. წელსაც ოთხი მშენებლობა მთავრდება: ანანურის, ოძისის, ქართლისა და ლამოვანის სკოლებისა. ალბათ, არც ისე შორსაა ის დრო, როცა ყველა სასწავლებელი რიგიან ბინაში დამკვიდრდება. გარდა ამისა, ისინი ყოველი სხვა სიკეთითაც არიან აღჭურვილნი. ამიტომ იმ ძველი სიდუხჭირის მნახველს დღეს მხოლოდ სიხარული ჰმართებს. მან იცის, რომ ეს რიგიანი გარემო ბოლოს მოუღებს იმ ნაკლოვანებებს, რაც გამოწვეული იყო ნახევრად დარღვეულ, ბნელ, ციცქნა საკლასო ოთახებში მუშაობით, სადაც ადგილიც არ იპოვებოდა სასწავლო თვალსაჩინოებათა და ტექნიკურ საშუალებათა მოსათავსებლად.

მაგრამ ეგეთივე სიჩქარით როდი წინაურდება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე. მას ასე ადვილად ვერ ააშენებ. ძალზე დიდი შრომა სჭირდება იმ დონის შენარჩუნებასაც, რაც მოპოვებულია. წინ წასვლა კი ისე ვერასგზით მოხერხდება, თუ იმ პრობლემათა რიგს, ამ წინ წასვლას რომ ეღობება, ერთი მაინც არ გამოაკლდა.

უნდა ითქვას, რომ ეს სფერო სასკოლო ცხოვრებისა ჩვენი სკოლების გულშემატკივართა გამუდმებული განსჯის საგანია. მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა უდიდეს ინტერესს ავლენს ყოველივე იმისადმი, რაც სასწავლებლების კედლებს იქით ხდება. აქ შეიძლება გავიხსენოთ თუნდაც ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის პროექტის საყოველთაო განხილვა, რომლის მიზანი იყო ამ საგნის სწავლების გაუმჯობესება. მართალია, მასწავლებლები ჯერაც ამ პროგრამის მოლოდინში არიან, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს იმ მზრუნველობის მნიშვნელობას, რითაც ამ საკითხის გადაწყვეტას მიუდგნენ.

და მაინც, ჩემის აზრით, როგორი საუცხოო პროგრამაც არ უნდა შევადგინოთ, იგი მუდამ დამხმარე საშუალება იქნება მასწავლებლისა და უმთავრეს პრობლემად ვერ იქცევა. უმთავრესი სხვაა, მაგრამ, სახელდობრ?

ეს კითხვა ქრისტინე ბაშარულის მისამართით დავსვი. კარგად მახსოვს ქრისტინეს სანაქებო მასწავლებლობა დუშეთში. ახლა იგი განათლების განყოფილების გამგეა. მას ამკობს დიდი გულწრფელობა და მჭერა, იმას მეტყვის, რასაც ფიქრობს.

და, მართლაც, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა, უმთავრესი და უპირველესი, რაც დღეს ჩვენს სკოლებს აწუხებს, ესაა დიდი საჭიროება მაღალკვალიფიციური, განათლებული მასწავლებლისა, — თქვა მასპინძელმა, და იქვე დამიხასიათა კიდეც, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მასწავლებელი; რომ პირველ რიგში იგი აღჭურვილი უნდა იყოს იმ საქმისადმი რწმენითა და სიყვარულით, რასაც ემსახურება, რომ მარტო საგნის ცოდნა არ კმარა. იგი ფართოდ განათლებული უნდა იყოს, რათა შესძლოს, პასუხი გასცეს დღევანდელი ბავშვის რთულ ბუნებასო.

აქ ჩვენ გავიხსენეთ, რომ ომის შემდგომი დროის მოსწავლე უფრო მეტად იყო „სუფთა დაფა", მისი ბუნება უფრო დამჯერე იყო, ვიდრე ახლაა და მასწავლებელს შრომა ამითაც უადვილდებოდა. მეორეს მხრივ, სკოლებში ჯერ კიდევ არ იყვნენ მოზღვავებული დაუსწრებელი უმაღლესი სწავლების კურსდამთავრებულნი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ძირითადად უნივერსიტეტი ამზადებდა, რაც მისი განათლების მაღალ დონეს განაპირობებდა. გარდა ამისა, მასწავლებლის ავტორიტეტს ჯერ კიდევ არ დამჩნეოდა ის ლაქა, რომელიც მას იმ ავბედითმა წლებმა მოუტანა. ამიტომ სულაც არ არის საფუძველს მოკლებული სინანული იმის გამო, რომ ამ ოცდახუთი წლის წინ უკეთესი მასწავლებელი გვყავდა. სკოლაში კი მთავარია, მასწავლებელი იყოს კარგი. ამ აზრს ქრისტინე ბაშარული რამდენჯერმე იმეორებს ხაზგასმით და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ახლა ყველაზე არსებით პრობლემად მასწავლებელი ქცეულა.

აქ მე სიტყვა ჩამოვუგდე მასწავლებელთა ატესტაციასა და გადასამზადებელ კურსებზე. აქაც დაემთხვა ჩვენი შეხედულებები: თუმცა შესამჩნევად გაუმჯობესდა კურსების მუშაობის დონე, თუმცა ატესტაციაც ჩატარდა, მაგრამ ერთიც და მეორეც მხოლოდ იმათ ეხმარება, ვინც საგანს ფლობს და ფართო განათლებაც ხელს უწყობს. ერთმაც და მეორემაც აამაღლა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა. მაგრამ ვინც საგანს თავს ვერ ართმევს, ყოველივე ცდა ამაოა, უცოდინარს ვერაფერი შველის...

ასეთი შეხედულება ჩვენი მასწავლებლების ერთს დიდ ნაწილზე სულაც ახალი არაა. კარგა ხანია, ყველა ხედავს, რა ზიანიც მიაყენა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას დაუსწრებელი სწავლების უსაზღვროდ გავრცელებამ. მაგრამ დანახვა არ კმარა. უნდა მოიძებნოს რაღაც გზა, რომელიც ჩვენს სკოლას ამ გაჭირვებიდან იხსნის. ქრისტინე ბაშარულსაც უპირველეს ყოვლისა ეს აინტერესებს. მან იცის, რომ იშვიათზე იშვიათია შემთხვევა, როცა ოქროსმედალოსანი პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაშურებს. კარგ მოსწავლეს მასწავლებლობა არ სურსო — შეშფოთებით ამბობს იგი და ადგილობრივ მაგალითებს იშველიებს: მაღალმთიანი სოფლების სკოლებისათვის წელსაც, შარშანდელივით და შარშანწინდელივით, ოთხი ლიმიტი ჰქონდათ პედაგოგიური ინსტიტუტებიდან და როგორც შარშან და შარშანწინ წელსაც ვერ მონახეს საიმედო ახალგაზრდები და სამოსნები გაგზავნეს. კარგი ატესტატების პატრონებს არ სწადიათ მასწავლებლობა, ხოლო ინსტიტუტი სასწაულმოქმედი როდია, რომ საშუალოსანი სკოლადამთავრებულიდან ხუთ წელიწადში განათლებული მასწავლებელი გამოზარდოს, დიახ, ძალიან დამაფიქრებელია, რომ საუკეთესო მოსწავლეები უგულვებელყოფენ პედაგოგის პროფესიას და ვალდებულნი ვართ, ამ ფაქტს მთელი გულისყურით მოვეკიდოთო.

სწორია განათლების განყოფილების გამგე: კადრების დაბალ დონეზე მარტო ლაპარაკი ვერ იკმარებს... ყველა გზა, რომელიც სკოლას კარგ მასწავლებელს დაუბრუნებს, უნდა გაიხსნას... იქნებ ამ სასწავლო წელმაც ითავოს საძირკველის გაჭრა! მე რომ მკითხონ პედაგოგიური ინსტიტუტების ლიმიტებს სულაც გავაუქმებდი, იმიტომ რომ ისინი სკოლებისაკენ კვლავ საშუალო მასწავლებელს უხსნიან გზას. ჩვენი პედაგოგიური კადრები ბარსაც ეყოფა და მთასაც და მათი განაწილებაც ძნელი არ უნდა იყოს. მეორეს მხრივ კი, ყველაფერს ვილონებდი, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტებში განათლებული ახალგაზრდობა მიმეზიდა, ვთქვათ, ოქროსმედალოსნები ყოველგვარი გამოცდისა თუ გასაუბრების გარეშე ჩამერიცხა.

მაგრამ განათლების განყოფილების მეთოდისტი ლუიზა მაზიაშვილი სახელმძღვანელოების პრობლემასაც უპირველეს ადგილზე აყენებს.

სახელმძღვანელოების სიმცირეზე არაერთხელ თქმულა. განსაკუთრებით უჭირთ მეცხრე-მეათე კლასებს. იმიტომ რომ ამ კლასებში ნახმარი სახელმძღვანელოების შემოშველება ვერ ხერხდება. ქართული ენა და ლიტერატურა ხომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში საგამოცდო საგანია. ცხადია, ვისაც ოდნავი სურვილი მაინც გააჩნია სწავლის გაგრძელებისა, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ჩასაბარებლად ვერ გაიმეტებს. ანდა რას ვემართლებით, რატომ არ უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას შინ თავისი საყვარელი წიგნი! ეს ხომ ბოლოსდაბოლოს წიგნის სიყვარულია! განა მისთვის მუდამ გაუგებარი არ დარჩება, რატომ ედავებიან მაინცდამაინც სახელმძღვანელოს. ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვების იდეა, ცხადია, სასარგებლო იქნება სკოლისათვისაც და საზოგადოებისთვისაც, თუ მას ასეთი გაუგებრობებისაგან დახვეწავთ და მოსწავლეს მხოლოდ იმ წიგნების ჩაბარებას მოვთხოვთ, რაც მას ნამდვილად აღარ სჭირდება. ცრუ ვარაუდია, რომ ახალგაზრდები მათთვის მეტად საჭირო სახელმძღვანელოს დაგვიბრუნებენ, ცრუ ვარაუდია, რომ ეს ვითომც დაბრუნებული წიგნები ახალი პატრონების ანგარიშზე ვიგულვოთ და ამით მეცხე-მეათე კლასებს სახელმძღვანელოები გავუნახევროთ ან გავუმესამედოთ... განა ამ სინამდვილემ არ უნდა დაგვაფიქროს? ხომ ვხედავთ, რომ ძალს ჩვენა ვართ და ძალს მოსწავლეები არიან, მაშ, დავუთმოთ ჩვენს უფროსკლასელებს მაინც, სადაც პროგრამა უფრო რთულია და სწავლისათვის საპასუხისმგებლო; დავუთმოთ ორ ცეცხლშუა მყოფ უფროსკლასელებს, რომელთა უმრავლესობას არც კარგი მასწავლებელი ჰყავს და არც საკუთარი სახელმძღვანელო გააჩნია, რომ, რაც კლასში დააკლდება, შინ კითხვით ნაწილობრივ მაინც შეივსოს. დავუთმოთ, მით უფრო, რომ „მშობლიური ლიტერატურის" სახელმძღვანელოთა შეგროვება რვაწლიან სკოლაში იმდენად არა ჭირს, და, ამგვარი ადგილშენაცვლებით იქნებ დარღვეული წონასწორობა აღგვედგინა.

ლუიზა მაზიაშვილი აქვე მოიხსენიებს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის დიდ სინაკლულეს. ამ ხარვეზის შევსებაში ჯერჯერობით ყოვლად უმნიშვნელოა „სასკოლო სერიის" როლიო. და მან ინატრა: ნეტავ ეგ წიგნები ყველა ერთად მაჩვენა და მაღაზიაში კი არ შევატანინებ, იმდენს ვეცდები, პირდაპირ სკოლებს გაეგზავნოს სახელმძღვანელოებივითო.

ამ საუბრის შემდეგ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დავინახე, თუ რატომ არის, რომ ჩვენს მოსწავლეებს შორის ასე ფართოდ მოიკიდა ფეხი გადაწერამ; რომ სკოლებში იბრუნვის და ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა ერთი და იგივე წერითი თემები იმიტომ, რომ მოსწავლეს არც მასწავლებლის იმედი აქვს, არც წიგნისა და მით უფრო — საკუთარი თავისა.

განათლებული და ხელოვანი მასწავლებლები ყოველგვარ გასაჭირს უძლებენ, მათ იციან, რომ მთავარია ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა, ამ მუშაობის დროს პრობლემური სიტუაციის შექმნა, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, მსჯელობის და დასკვნების უნარის გამომუშავება. თავიანთი შეხედულებისამებრ ისინი ზოგჯერ სცილდებიან კიდეც პროგრამის ჩარჩოებს და საუკეთესო მოსწავლეებს ასწავლიან იმას, რაც სიმწიფის ატესტატის პატრონმა, სამწუხარო იქნება, რომ არ იცოდეს. დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა დალი ბუჩაშვილმა თქვა: ჩემს მეათეკლასელ ოთხოსნებსა და ხუთოსნებს მთელი წლის განმავლობაში ვემუქრებოდი, თუ ანა კალანდაძის ამა და ამ ლექსებს არ ისწავლით, არ დაგიწერთ სასურველ ნიშნებს-მეთქი. ასევე ვიქცევი სხვა თანამედროვე ქართველი პოეტების შემოქმედების გასაცნობადაც, რაც პროგრამით გათვალისწინებული არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რვაწლიან სკოლაში მათთვის დათმობილ თითო-ოროლა საათს. ამგვარი ეშმაკობით ვაიძულებ ისწავლონ ჩვენი მდიდარი პოეტური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებიც. ახალი პროგრამის პროექტით ხალხური ლექსებისათვის სამადსამი საათია დათმობილი და ისიც რვაწლიან სკოლაშიო.

...ასე ცდილობენ კარგი მასწავლებლები, და მათი იმედი მართლაც რომ უნდა გვქონდეს.

მაგრამ დახმარება იმ კარგებსაც სჭირდებათ... იმათაც აღარ იციან ზოგჯერ როგორ გაანალიზონ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების, ან თუნდაც დიდტანიანი თხზულებების მხატვრული მხარე, რაზეც ნაკლებ იწერება და უმთავრესად — ზერელედ.

...მოსაგვარებელს რა დალევს, მით უფრო სკოლაში.

მაგრამ იმედიც ხომ დიდი სიკეთეა! იქნებ ამ ახალმა სასწავლო წელმა იმდენი ქნას, უმთავრეს პრობლემებს შებედოს და არამარტო სიტყვიერად...

იქნებ მისი დასაწყისის დამთხვევა შემოდგომის დასაწყისთან სიმბოლურიც კი გამოდგეს და აივსოს ჩვენი ქართული სკოლები ტკბილი ნაყოფის ხვავითა.

და, როცა მისი გაცილების ჟამი დარეკს, არანაკლები სიხარულით დავემშვიდობოთ, ვიდრე შევეგებეთ.

ასე, რომ ჭეშმარიტად, კეთილი იყოს მისი მობრძანება, — მოსწავლეთა სწავლის წელიწადისა!

# როგორ უყვარდათ საქართველოში

### გურამ ასათიანი

ყველა ერმა რომ თავისებური სიყვარული იცის, ეს აზრი პირველად ფილიპინებზე ყოფნისას ამედევნა.

ვარსკვლავთცვენა ყველგან ვარსკვლავთცვენაა, მაგრამ ერთი იქაური ახალგაზრდა პოეტის ლექსში არის ასეთი სახე:

„ზეცის მუქ ლაწვზე,
ცეცხლოვან ღვარად,
დასრიალდნენ სატრფოს
ცრემლები"...

ამ სიტყვებში იყო რაღაც გაცილებით მეტი შორეული კუნძულების მკვიდრთა ხასიათზე, ვიდრე ეს ნებისმიერ ეთნოგრაფიულ ცნობარში შეიძლებოდა ამომეკითხა.

თითქოს ჩემგან გაგონილი ყველა ფილიპინური მელოდიის ან აქვე ხილული ყველა უცნობი ყვავილის მხურვალე სუნთქვა შეგროვდა ამ ორ სტრიქონში...

გამახსენდა გალაკტიონის „აგვისტოდან":

„თითქოს ქალწულმა
პირველად სცოდა
და სინანულის დაგუბდა
ღვარი"...

მაგრამ ეს მხოლოდ უნებლიე, შორეული მსგავსებით გამოწვეული ასოციაცია იყო...

ადამიანურ სიყვარულში ესთეტიკურად მნიშვნელოვანია ის, რაც მეტ-ნაკლებად სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს, ანუ — იშვიათი, უნიკალური, უაღრესი.

მონტენს რომაული სიყვარულის უმწვერვალეს გამოვლინებად კონსულ პეტის მეუღლის არიას სიტყვები მიაჩნდა: „Pate, non dolet!"

გადმოცემის თანახმად, ამ კაცს უძნელდებოდა თავის მოკვლა (რაც მას იმპერატორმა მიუსაჯა). და, აი, საყვარელი მამაკაცისთვის ამ ნაბიჯის გასაადვილებლად ქალმა მას დაშნიდან ამოგლიჯა მახვილი, მის თვალწინვე დაიცა მკერდში და ვიდრე სულს განუტევებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მეუღლეს:

„პეტ, ეს სრულებით არ არის მტკივნეული".

დიდი სიყვარული შინაგან კულტურას მოითხოვს (არა უბრალო განათლებას, გემოვნებას ან გარეგნულ დახვეწილობას, არამედ შინაგან სიფაქიზეს), კერძოდ, რიტმის გრძნობასაც.

თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში" ვინმე კრეჩმარი — ბებერი თხუნელა — მუსიკას ასწავლის ახალგაზრდა ლევერკიუნს და მის მეგობრებს — მუსიკალური შედევრების საიდუმლოებას აზიარებს მათ.

ბეთჰოვენის ერთ სონატას ბოლო ნაწილი აკლია, რაც ამ ჟანრის დაკანონებულ კომპოზიციას არღვევს.

კრეჩმარი მოულოდნელი შთაგონებით ასრულებს ამ სონატას და მერე აუდიტორიას მიმართავს:

— განა ამის შემდეგ შეიძლებოდა კიდევ რაიმეს დამატება? განა ასეთი განშორების, ასეთი დამშვიდობების შემდეგ კიდევ შესაძლებელი იყო შეხვედრა?

ასეთია კლასიკური ფორმა სიყვარულისა. აქედან მომდინარეობს პუშკინის:

Но пусть она вас больше
не тревожит,
Я не хочу печалить
вас ничем.

აკაკისაც:

გიყვარდი, აღარ გიყვარვარ,
მეფე ხარ შენი გულისა.

ამას უპირისპირდება სიყვარულის რომანტიკული გაგება, როგორც უზომობის, წრეგადასული ექსტაზის, მარადიული დაუოკებლობის...

რომანტიკული სიყვარულის ქრესტომათიული ნიმუშია გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი".

ასეთი გატაცება ჩვენში ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცოდა, სიყვარულის ქალღმერთს უყვარს მსხვერპლი, „მოთმენა", მაგრამ უფრო მეტად — უკიდურესობები და უაღრესობანი. ის ყველას ერთნაირად წყალობს, ვისაც კი მის სამსხვერპლოზე წრფელი ზვარაკი მოუტანია.

ქალწული ბეატრიჩე და მეძავი მანონ ლესკო მის საუფლოში გვერდიგვერდ სხედან.

ჩვენმა საუკუნემ ერთგვარი სკეპსისი გამოავლინა სიყვარულის მიმართ.

ბლოკი ამბობდა, რომ „დიდი ხანია წავიდნენ პაოლოსა და ფრანჩესკა და რამინის დროები", მაგრამ თვითონ შთამომავლობის მეხსიერებაში ახალი სიყვარულის მოციქულად დარჩა („მშვენიერ ქალის" ურთგულეს პალადინად) და არა მის მესაფლავედ.

სიყვარულის ახალ სათავეებს გასული საუკუნე მსოფლიოს ეგზოტიკურ წერტილებში ეძებდა: ბაირონი — იორდანეს ნაპირებზე, მერიმე — ესპანეთში, პუშკინი — ბესარაბიელ ბოშათა შორის, სტენდალი — იტალიის ლაჟვარდოვან ცის ქვეშ, გოგენი ტაიტიზე, ხოლო ლერმონტოვის დემონმა კავკასიას მოაშურა.

სიყვარულს აქვს საერთაშორისო კოდი და საყოველთაო, მუდმივი სიმბოლო (ამოჭრილი გული), რომელსაც ყველა ცნობს, სულ ერთია, ბანოვანის ძვირფას სამაჯურზე იქნება ის ამოტვიფრული, თუ რეციდივისტის ტატუირებულ მაჯაზე.

და მაინც ყველგან და ყოველთვის მისი ნამდვილი ფასი უჩვეულობაშია, განცდის იმ უცხო სიახლეში, რამაც ქართულ ენაზე ასეთი სიტყვები წარმოშვა:

„ნუთუ, ამ სულის წადილსაც
რქვა სიყვარული სხვათაებრ?"

არათუ მთელი ერის, ერთი ადამიანის სიყვარულიც იცვლება — ასაკის, სულიერი მდგომარეობის, ასევე, ცხადია, სიყვარულის საგნის ცვალებადობის მიხედვით.

მაგრამ, როგორც ყოველ პიროვნებას, ასევე ყოველ ერსაც, აქვს სიყვარულის რაღაც არსებითი, თავის გულის გულში, საყრდენთა საყრდენში უცვლელი თავისებურებაც.

ყველაზე ძნელი და, აბსოლუტური თვალსაზრისით, შეუძლებელი სწორედ ამ სიღრმისეული თვისებების ამოცნობაა.

რომელი სახე შეიძლება გამოდგეს ჩვენებური სიყვარულის უზუსტეს ემბლემად?

მე თვითონ ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი არა მაქვს: რაც უფრო ახლობელია საგანი, მით უფრო ძნელია მისი მთლიანობად აღქმა.

უბრალოდ, ვიგონებ: ჩემს ბავშვობაში ერთი უფროსი თაობის პოეტი, მეგობრებთან სერობის დროს უსათუოდ წამოიწყებდა:

შენ ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა...

ჰიმნივით კითხულობდა. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ ეს იყო სატრფიალო ლექსი და ამ „კოშკშიც" და „კირშიც" საყვარელი ქალის გარეგნობა იგულისხმებოდა.

რაღაც იდუმალებაა ამ ლექსში, რომელსაც ბოლომდე, ალბათ, ვერასდროს ამოვხსნი. განსაკუთრებით ორი სიტყვა მაღელვებს: რატომ მაინც და მაინც „დიდო იმედო"? არა მგონია — მარტოოდენ თანხმიერებისთვის. აქ რაღაც სხვა აზრია, უფრო ტევადი, უფრო მნიშვნელოვანი. რატომ ჟღერს ასე გარკვევით აქ მარადიულობის, წარუვალობის განცდა (თუ „კოშკი" მხოლოდ სხეულია, მხოლოდ გარეგანი ხატი სატრფოსი — „ხორცი" ანუ მატერია?).

ან ეს „კირი" — ნუთუ, მხოლოდ სითეთრეს ნიშნავს?

თუმცა სხვა ხალხურ ლექსში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი:

ქალაუ, ისე თეთრი ხარ. როგორც საყდარში კირიო. ღამისღამ მამაგონდები, წამოვჯდები და ვტირიო.

და მაინც: მხოლოდ კირია ეს, თუ ქვით-კირიც — სიმტკიცისა და შეუვალობის სიმბოლო (რუსთაველის მიხედვით)?

და კიდევ ერთი: ეს საზეიმო ჰიმნის ინტონაციით სათქმელი ლექსი, რომელშიც ყველაფერი ამაღლებულია, პათეტიურია, „უკვდავების წყაროს" ზღაპრული სიწმინდით ლივლივებს, მოულოდნელად მთავრდება თითქმის შეუნიღბავი მიწიერი სურვილის გამხელით:

შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

რამ შეათანხმა ეს ორი ნაკადი? — ერთის მხრივ, სიყვარულით აზვავებული სულის ხმოვანება, მეორეს მხრივ, „ხორციელების", თბილი სარეცლის მაცდური სურნელი? ან ამ ლექსის დასაწყისისა და დასასრულის ბგერწერა შევადაროთ ერთმანეთს.

ერთის მხრივ, „დიდო იმედო", მეფე ზარის ზვიადი გუგუნი, რასაც შემდეგ გარკვევით ერთვის მთელი სამრეკლოს რეკვა და კაშკაში („კოშკო ნაგებო კირითა"), ხოლო მეორეს მხრივ: ვნებით ატანილი მამრის ყეფა თუ ღუღუნი („ყოფნით", „გამაძღო") და აქვე:

„წოლა-ძილითა", სადაც „წ"-სა და „ძ"-ს მყივანი სიმძაფრე რბილად ჩამთბარა „ლ"-ს დამაოკებელ სილბოში.

რა აზრი დევს ამ ორი მკვეთრად განსხვავებული ჟღერადობის კონტრასტულ მთლიანობაში? — სად არის საძიებელი საყრდენი ანუ სათავე სულისა და მატერიის, „ცისა და მიწის" ესოდენ მკვიდრი სინთეზისა, ანუ იმ უჩვეულო ფენომენის, რასაც ვაჟა-ფშაველა „უკიდურესი იდეალიზმისა" და „უკიდურესი რეალიზმის" ერთიანობას უწოდებდა.

●

„ქართული სიყვარულის" უძველესი აღნაბეჭდები ანტიკურმა ძეგლებმა შემოგვინახეს — ბერძნულმა წყაროებმა მედეას მითოსის, ხოლო რომაულმა — რადამისტისა და ზენობიას თავგადასავლის სახით.

ორივე ამ ტრაგიკული სიუჟეტის ხერხემალი სიყვარულის გრძნობაა, ხოლო ტრაგიზმის მთავარი მიზეზი — დამსხვრეული ბედნიერება ანუ დაკარგული სიყვარული.

ორივე ამბავი თავისებური იშვიათობაა და ალბათ პირველ რიგში ამის გამოც იწვევს ბერძენი და რომაელი ავტორების განსაკუთრებულ ინტერესს, — როგორც უაღრესი, უჩვეულო რამ, ერთგვარი გამონაკლისი საყოველთაო წესიდან.

ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი აქტი უკიდურესი აფექტაციის ფონზე ხორციელდება, მაგრამ თვით აფექტი გააზრებულია, როგორც პერსონაჟის ხასიათის ბუნებრივი გამოვლინება, მისი ზნეობისა და ემოციური წყობის კანონზომიერი შედეგი.

რადამისტისა და მედეას სიუჟეტებში ქრისტიანობამდელი ქართველობის ზნეობრივი სინამდვილის ნამსხვრევებია შემონახული.

ეს სინამდვილე უთუოდ მოდიფიცირებულია (არაქართული წყაროებისა, ან მტრულად განწყობილი ინტერპრეტატორების მიერ), მაგრამ მათში რეალური მარცვლებიც უნდა იყოს შემორჩენილი.

გამორიცხული არ არის, რომ ორივე ეს ამბავი საქართველოშივეა შეთხზული (ან მომხდარი) და აქედან იქნა ნასესხები სხვათა მიერ.

აკაკი წერეთელს, კერძოდ, ეჭვი არ ეპარებოდა მედეას სიუჟეტის ქართულ წარმომავლობაში.

თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, ქართულმა პირველწყარომ თავისი ზნეობრივი წარმოდგენებიც გამოხატა ამ სიუჟეტებისა და სახეების მეშვეობით. კერძოდ, მედეას შურისძიება, როგორც ჩანს, გააზრებული იყო, როგორც ანომალია — წრეგადასული, არაადამიანური მოქმედება.

მედეას საქციელი სიძულვილის, უფრო ზუსტად, სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარულის შემზარავ გამოვლინებად წარმოისახება. ეს არის უკიდურესი ფორმა სწორედ იმ „მტრობისა", რომელიც ქართველი ხალხის თვალში — „მშენებელი" სიყვარულის საპირისპიროდ — „ნგრევის" (ანუ სიცოცხლის მოსპობის, ანტისიცოცხლის) პირველმიზეზია.

ქართული ხასიათი, ჩვენი კლასიკის (პირველ რიგში რუსთაველის) მიხედვით, ბედნიერების მაძიებელი ხასიათია, ხოლო სიყვარული ამ ხასიათისთვის ბედნიერებით აღვსების უმწვერვალეს ფორმად წარმოდგება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ, წარმართობისგან განსხვავებით, ბედნიერებისა და სიყვარულის საკუთარი მოდელი შექმნა.

საკუთრივ ქრისტიანული (საეკლესიო) მწერლობა საქართველოშიც ძირითადად ამ მოდელს ამკვიდრებს. ხორციელი გრძნობა აქ, რა თქმა უნდა, გამორიცხულია (ან მაქსიმალურად შეზღუდული). მაგრამ ვისაც ჩვენი ჰიმნოგრაფების თხზულებები დაკვირვებით წაუკითხავს, უთუოდ შეამჩნევდა იმ ფარულ ვნებას, იმ საოცარ მხურვალებას განცდისას, რაც თან ახლავს მათ მიერ უზენაესის მისამართით აღვლენილ ღვთაებრივ სიყვარულს.

ცხადია, ჩვენი სასულიერო პოეზია ამ მხრივ სრულ უნიკუმს არ წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურაში. უბრალოდ, მისი ნიმუშების დიდი ნაწილი ქრისტიანობის მიერ შექმნილ იმ პოეტურ ქმნილებათა რიგს განეკუთვნება, რომელთა ემოციურ ტონალობას სწორედ ამგვარი მგზნებარება ახასიათებს.

არც იმის დავიწყება გვმართებს, თუ როგორი გატაცებით თარგმნიდნენ საქართველოში ძველი აღთქმის იმ ნაწილს, რომელიც დღემდე ხორციელი სიყვარულის აპოთეოზად ჟღერს, მხედველობაში მაქვს ქართული „დაბადების" ნამდვილი მარგალიტი — „ქება-ქებათა".

დიდად საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ჩვენი სასულიერო პროზა არა თუ გვერდს არ უვლის ამქვეყნიური, მიწიერი ურთიერთლტოლვის თემას, არამედ გარკვეულ ინტერესსაც იჩენს ხორციელი სიყვარულის უმძაფრეს გამოვლინებათა მიმართ.

თუ შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტის ეროვნული გააზრება დღეისთვის მხოლოდ სადავო ჰიპოთეზად რჩება, სრულიად აშკარა უნდა იყოს მხატვრულ-ემოციური ზემოქმედება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" იმ პასაჟისა, რომელშიც აშოტ-კურაპალატის სასიყვარულო გატაცების ამბავია გადმოცემული:

„ნეტარ მას კაცს, რომელ ცოცხალ აღარ არს!" — წართმეული სიყვარულით სასოწარკვეთილი მამაკაცის ეს ლაპიდარული აღსარება მხოლოდ ხორცის მწუხარებას არ გამოხატავს, ამ სიტყვებში ჭრილობამიყენებული სულის ტკივილიცაა ნაგულისხმევი.

ღვთაებრივი სიყვარულის ქართული ვარიანტის დამახასიათებელი ნიმუშია დიმიტრი მეფის „შენ ხარ ვენახი", რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ქრისტიანულ საგალობელს უდევს საფუძვლად: შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული. ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული...

რელიგიური განცდის საგანი აქ წარმოსახულია როგორც მარადი გაზაფხულის, მიწისმიერი ნაყოფიერების, აღორძინებული სიცოცხლის განსახიერება.

საერთოდ „რელიგიური ეროტიკა" საკმაოდ განვითარებული მოტივია ქართულ სასულიერო პოეზიაში.

ისიც უნდა ვთქვათ: რა წარმოშობისაც უნდა იყოს ვენახისა და ვაზის (ვაზის ჯვრის) ქრისტიანული სიმბოლიკა, დიდად დამახასიათებელია, რომ მას სწორედ ქართულ ნიადაგზე ეწერა ესოდენ სრულად შეფოთვლა.

იმის თაობაზე, თუ როგორი აზრის იყვნენ ჩვენი ღვთისმოსავი წინაპრები ხორციელი სიყვარულის (როგორც „ცოდვა ქმნის" ერთ-ერთი უმძაფრესი სახეობის) შესახებ, ნათლად მეტყველებს ქობაირის მონასტრის (XIII ს.) საფლავის ქვის ახლახან ამოკითხული წარწერაც: წამოვედით სოფლისაგან ცოდვაქმნილნი და გამკრთალნი; გულსა ცეცხლი მომედების, ამომდიან პირით ალნი. დიდთა მათთა შვებათაგან დამრჩეს ჩოხის ნაფერთალნი, კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალნი.

მხატვრულ სახეს აქვს ზემოქმედების დამოუკიდებელი ძალა, რომელიც ზოგჯერ ჩანაფიქრს ჭარბობს. აქ სწორედ ასეთი შემთხვევაა:

ეს „დიდთა შვებათ" ნაზიარევი, სამუდამოდ ცეცხლმოკიდებული გული, რომელიც საფლავშიც განაგრძობს ბრიალს („ამომდიან პირით ალნი"!), გაცილებით მეტს გვამცნობს საბედისწერო ხანძრის გამჩენის ვნებათა გამო, ვიდრე ამის თქმა ეპიტაფიის ავტორს ჰქონდა განზრახული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის დამწერს, ვითარცა მორალიზატორს, ჯოჯოხეთის გეენის ტრადიციული წარმოდგენა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ როცა ამას წერდა, ეტყობა, მასში პოეტმაც გაიღვიძა.

ხატოვანი ლოგიკის ძალით, მიწიერი ვნება აქ სიკვდილზე ძლიერ სტიქიად გვეცხადება.

თავს ნებას მივცემ, ოდნავ მივყვე და განვავითარო ქობაირული მეტაფორა, რომელიც, ჩემი აზრით, მეტად დამახასიათებელია სიყვარულზე ქართული წარმოდგენისათვის. ეს მიწიდან ამომსკდარი ხანძრის წითელი ენები ძალიან გავს იმ მეწამული ვარდის ბუჩქს, რომელიც ქართველი ხალხის წარმოდგენამ აბესალომისა და ეთერის საფლავზე ამოზარდა.

ჩვენ ვიცით, რომ სიყვარულმა, როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ სამყაროში, თავისი მეტაფიზიკა შექმნა.

დასავლეთ ევროპაში ამ გრძნობის ერთ-ერთი ყველაზე დაკვირვებულ „სპეციალისტთაგანი", სტენდალი თავის ვრცელ ტრაქტატში „სიყვარულის გამო" ერთმანეთისგან განასხვავებს სიყვარულისა და სიყვარულით მოპოვებულ ბედნიერების ეროვნულ ვარიანტებს, განსაკუთრებით ფრანგულს და იტალიურს.

ფრანგულ ვარიანტში მთავარ ნიშნად მას პატივმოყვარეობის დიქტატი წარმოუდგება, იტალიურში კი შიშველი, ღრმა ვნებისა.

პატივმოყვარეობა გალანტურობაში ვლინდება ძირითადად: „გალანტურობას კი მეტი (ვნებასთან შედარებით — გ. ა.) გრაცია ახლავს, მეტი დახვეწილობა — წერს სტენდალი — და ამის გამო მეტი ბედნიერება მოაქვს საფრანგეთში", „გრძნობაზე დაფუძნებული ბედნიერება კი (ანუ იტალიური ვარიანტი — გ. ა.) არ შეიძლება იყოს პატივმოყვარეობის საგანი".

რა შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით, ბედნიერების გაგების ქართულ ვარიანტზე? როგორც ჩანს, სტენდალის კლასიფიკაციის მიხედვით, ჩვენ სადღაც შუაში უნდა მოვხვდეთ, ვინაიდან არც პატივმოყვარეობა გვაკლია (შესაბამისი გრაციოზული გაფორმებით) და არც ნამდვილი ვნებებით ვართ ღარიბნი.

ჩვენმა ძველებმა რომ კარგად იცოდნენ ადამიანურ ვნებათა საბედისწერო ძალა, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ხალხურ პოეზიაში გამოჩნდა.

ამ მხრივ საგანგებო ინტერესს იწვევს მურმანის სახე ქართულ „ეთერიანში". სწორედ ამ სახეში გაიხსნა განსაკუთრებული ექსპრესიით სიყვარულის „დიალექტიკა" — მისი წინააღმდეგობრივი არსი.

მურმანი უაღრესად საინტერესო სახეა ქართული მითოლოგიისა; ხალხური მინდიას მსგავსად, არც ის არის რაიმე იდეის უბრალო განსახიერება. ამას მოწმობს მისი ტრაგიკული გააზრება ხალხის წარმოდგენაში.

მურმანი (მინდიასაგან განსხვავებით) ეგოცენტრიკოსია. ბედნიერებას მისთვის მხოლოდ ერთი ასპექტი აქვს — პირადი. ბედნიერება, რომელიც მას სჭირდება, მხოლოდ ეთერის ანუ ხორციელი სიყვარულის სახით არსებობს. სხვა წყარო, მისი სულის წადილის დასაოკებლად, უბრალოდ არ მოიპოვება ბუნებაში.

ამ ბედნიერებისთვის ის არაფერს არ იშურებს, თვით სულსაც. ე. ი. ამქვეყნიური ნეტარებისთვის სამუდამო ტანჯვაზე თანხმდება. საგულისხმოა, ისიც, რომ მამაკაცური პატივმოყვარეობა და ვნება მის ხასიათში ერთ იმპულსად მთლიანდება.

მურმანის სახე, ისევე, როგორც გველისმჭამელისა, ჩვენი [illegible] კულტურის ფუნდამენტურ წარმოდგენათა სფეროებში გადააქვს.

მურმანი იგივე „სული ბოროტია", უფრო ზუსტად, „ბოროტი სულია" ის მთავარი ელემენტი, რაც მის არსებაში დაბინადრდა და რაც მის ხასიათს და მოქმედებას განსაზღვრავს.

აქ, როგორც ჩანს, არ ღირს ამ სახის (ბიბლიის მიხედვით, სამოთხიდან განდევნილი ანგელოზის) ლიტერატურული გენეზის მიმოხილვა.

ყველაზე საგულისხმო ჩვენი დროისათვის, ვფიქრობ, ფრანსისეული გააზრება უნდა იყოს — ერთგვარი შეჯამება მისი ევოლუციისა ბიბლიიდან XX საუკუნემდე.

ანატოლ ფრანსის სატანა, ისევე, როგორც ბაირონის ლიუციფერი, აქტიური საწყისია კაცობრიობის ისტორიისა.

ქართულ ნიადაგზე ამ მოტივს გახარება არ ეწერა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენს მწერლობაში სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა მისმა ზოგადკულტურულმა შინაარსმა (ამ უკანასკნელს საქართველოში არსებითად მხოლოდ ჭაბუკი ბარათაშვილის გენიამ მისცა დროებითი გასაქანი); ასეც რომ არ ყოფილიყო, მისი განვითარება, როგორც ჩანს, ამგვარი გეზით არ წარიმართებოდა, ვინაიდან ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ქმედითი (მშენებელი, შემოქმედი) ძალის როლს, ტრადიციულად, სიკეთე ასრულებს და არა ბოროტება.

მურმანის სახეც (მიუხედავად მისი ხასიათის მკვეთრად აქცენტირებული აქტიურობისა) სინამდვილეში არაჭეშმარიტი, არასრულფასოვანი და ამდენად უდღეური, უპერსპექტივო ქმედების მომასწავებელია.

მურმანის ენერგია, ხალხის თვალში, ბოროტი ენერგიაა. ამის გამო მას არაფრის წარმოქმნა („აშენება") არ შეუძლია. მისი „ბროლის ციხე" მხოლოდ მირაჟია, მხოლოდ ეფემერული ხუხულაა, ვინაიდან არც მკვიდრი ბალავარი აქვს, არც ნამდვილი კედლები და მისი პატრონიც საბოლოოდ (ვაჟას მიხედვით) მშიერი ნადირივით უნდა აყმუვლდეს „ხრამებში, მთაში და ღრეში".

საოცარია: ვაჟა-ფშაველა თავის მურმანს (შერეს) პოემის ფინალში ოიდიპოსის ტრაგიკულ ზრახვას მიაწერს.

„თვალებს დაითხრის ბედკრული, თვალებსა დაშინებულსა"...

მურმანი აქ შეძრწუნებულია არა მხოლოდ და არა იმდენად თავისი მარცხით, რამდენადაც თავისი ნამოქმედარით.

საკუთარ გულთან ის, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს იყო თვითკერძი გულის ფსევდოსიმართლე, ვნებით ამღვრეულ გონების მოჩვენებითი ჭეშმარიტება.

სწორედ ამის გამო „აირია ყველაფერი: „სიყვარული" „მტრობად" იქცა, „შენების" სურვილი „ნგრევად" მობრუნდა...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

## მწერალი—ოსტატობის შესახებ

### აკუტაგავა რიუნოსკე

# ლიტერატურული, მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული!

### ეგრეთწოდებული „ამბის თხრობას" მოკლებული ნაწარმოები

მე მიმაჩნია, რომ რჩეული ნაწარმოები შეუძლებელია „ამბის თხრობას"[1] არ შეიცავდეს. ამიტომაც არ ვამბობ, „მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები წერეთ, „თხრობას" რომ იყოს მოკლებული-მეთქი". ჩემი ნაწარმოებებიც, უპირველეს ყოვლისა, მეტ-ნაკლებად შეიცავენ „ამბის თხრობას". უესკიზოდ სურათის შექმნა უაზრობაა. ასევე პროზაული ქმნილებაც „ამბის თხრობაზეა" აგებული (სიტყვა „თხრობაში" „მოთხრობას" როდი ვგულისხმობ). უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, „ამბის თხრობის" გარეშე შეუძლებელია ნაწარმოების შექმნა. მეც, ბუნებრივია, პატივისცემით ვეკიდები იმ ნაწარმოებებს „ამბის თხრობას" რომ შეიცავენ. ან კი ვინ არ აგებ პატივს ასეთ ნაწარმოებებს, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ „დაფნისი და ქლოა"-დან მოყოლებული, ყველა ნაწარმოები და ეპიური პოემა „ამბის თხრობაზეა" აგებული? მისგან შედგება „ქალბატონი ბოვარიც", „ომი და მშვიდობაც" და „წითელი და შავიც".

მაგრამ ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასებისას ამოსავალ წერტილად ვერ მივიჩნევთ „ამბის თხრობის" ღირსებებსა და ნაკლს, მით უმეტეს უნდა გამოეყოს შეფასების ჩარჩოებს „ამბის თხრობის" ორიგინალობა თუ არაორიგინალობა (ძუნიტარო ტანიძაკი,[2] როგორც ყველასთვის ცნობილია, ავტორია არაერთი ნაწარმოებისა, რომლებიც ამბის ორიგინალურ „თხრობაზეა" აგებული. ზოგიერთ ამ ნაწარმოებთაგანს, გამორიცხული არ არის, საუკუნეებიც შემოინახავს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, მათი არსებობის ხანგრძლივობა იმაზე იყოს დამოკიდებული, შეიცავენ ისინი ამბის ორიგინალურ „თხრობას" თუ არა). და, თუ ჩავუფიქრდებით, „თხრობის" არსებობასა და არარსებობას ამ პრობლემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. როგორც უკვე ვთქვი, მე მიმაჩნია, რჩეული ნაწარმოები, შეუძლებელია, საერთოდ მოკლებული იყოს „ამბის თხრობას". მაგრამ ვფიქრობ, რომ ამგვარ ნაწარმოებებს აქვს არსებობის უფლება. „ამბის თხრობას" მოკლებული ნაწარმოები მხოლოდ ადამიანის ქცევას როდი გამოსახავს. ყველა სახის პროზაულ ნაწარმოებთაგან იგი ყველაზე მეტად უახლოვდება ლექსს. მაგრამ ამავე დროს ის ბევრად უფრო უახლოვდება პროზას, ვიდრე ე. წ. ლექსები პროზად. მესამედ ვიმეორებ: მიმაჩნია, რომ რჩეული ნაწარმოები შეუძლებელია მოკლებული იყოს „ამბის თხრობას". და მაინც იმ კუთხით თუ მივუდგებით, რამდენად „ფაქიზია" იგი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რამდენადაა მოკლებული „უხამსობით გაღვიძებულ ცნობისმოყვარეობას", — სწორედ ასეთი ნაწარმოები გამოირჩევა ყველაზე მეტი სიფაქიზითა და მხატვრულობით. ისევ ფერწერიდან მომყავს მაგალითი — უესკიზოდ სურათის შექმნა უაზრობაა (მე არ ვეხები კანდინსკის მთელ რიგ ტილოებს, „იმპროვიზაციის" სახელწოდებით რომაა ცნობილი). მაგრამ, მიუხედავად ამისა, სურათს აცოცხლებს არა იმდენად ესკიზი, რამდენადაც სალებავები. ეს ფაქტია, რაც ჩანს სეზანის არაერთ ტილოზე, საბედნიეროდ, იაპონიამდე რომ მოუღწევია. მე მაინტერესებს ნაწარმოებები, ამგვარ სურათებს რომ უახლოვდება.

მაგრამ არსებობს კი სინამდვილეში ასეთი ნაწარმოებები? მათი შექმნა დაიწყეს ადრეულმა გერმანელმა ნატურალისტებმა. უფრო გვიანი პერიოდის მწერლებიდან, შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ჟიული რენარი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რენარის „ცხოვრება ფილიპის ოჯახისა" ერთი შეხედვით, ზოგჯერ დაუმთავრებელი გვეჩვენება. მხოლოდ „დაკვირვებულ თვალს", და „მგრძნობიარე გულს" თუ ძალუძს ბოლომდე ჩასწვდეს მას. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: სეზანმა ჩვენ, მის ნაშიერთ, აუარება დაუმთავრებელი სურათი დაგვიტოვა. ასევე დაუმთავრებელი ქანდაკებები დაგვიტოვა მიქელანჯელომ! მაგრამ თითქოს ეჭვი გებადება — მართლა დაუმთავრებელია სეზანის ეს სურათები, თუ უბრალოდ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ დაუმთავრებლად მონათლეს ისინი. გავიხსენოთ, რომ როდენი მიქელანჯელოს დაუმთავრებელ ქანდაკებებს დასრულებულად თვლიდა!.. მაგრამ უეჭველია, რომ რენარის ნაწარმოებს და მიქელანჯელოს ქანდაკებებს, ისევე როგორც სეზანის ზოგიერთ სურათს, არ შეიძლება დაუმთავრებელი ვუწოდოთ. ჩემდა სავალალოდ, ჩემთვის არ არის ცნობილი, რა შეფასებას აძლევენ რენარს ფრანგები. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი შემოქმედებითი ხელწერის ორიგინალობამ დიდი აღიარება ვერ პოვა.

ნუთუ მარტო უცხოელებს შეუძლიათ ასეთი ნაწარმოებების შექმნა? რაც შეეხება იაპონელებს, მე მგონი, შეიძლება დავასახელოთ ნაოია სიგას მოთხრობები, რომლებიც „კოცონის" შემდეგ დაწერა.

მე ვთქვი, რომ ამგვარ ნაწარმოებებში არსად არ იგრძნობა „უხამსობით გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა". დღეს, ქუჩაში ვიდექი და მძღოლისა და რიქშას ჩხუბს ვუყურებდი. უფრო მეტიც, ვგრძნობდი გარკვეულ ინტერესს. მაგრამ როგორი იყო ეს ინტერესი? ბევრი ვიფიქრე ამაზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ იგი არაფრით განსხვავდებოდა იმ ინტერესისაგან, თეატრის სცენაზე ჩხუბის ნახვისას რომ იღვიძებს ჩემში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩხუბი, სცენაზე რომ ვნახულობ, არაფრით მემუქრება, ქუჩაში კი რაიმე ხიფათს შეიძლება გადავეყარო. მე არ ვაპირებ ხაზი გადავუსვა ლიტერატურას, რომელიც ამდაგვარ ინტერესს იწვევს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, არსებობს სხვა გზა, უფრო მაღალი ინტერესიც. ამის უკეთ ასახსნელად (პირველ რიგში განმარტება მსურს მივცე ძუნიტირო ტანიძაკის) შეიძლება მშვენიერი მაგალითი მოვიყვანოთ: „ჟირაფის"[3] პირველი რამდენიმე გვერდი სწორედ ამგვარ ინტერესს აღვიძებს მკითხველში. ნაწარმოებში, „ამბის თხრობას" რომაა მოკლებული, თითქოს არსად არ იგრძნობა უხამსობით გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა. (საკითხავი მხოლოდ ისაა, როგორ ავხსნათ სიტყვა „უხამსობა"). რენარის მიერ გამოსახული ფილიპი — ფილიპი, პოეტის თვალწინ რომ გაუვლია და მის გულში შეუღწევია, — ჩვენს ინტერესს უმთავრესად იმიტომ იწვევს, რომ იგი ჩვენთვის ახლობელი, ჩვეულებრივი ადამიანია. ამას რომ უხამსობით გაღვიძებული ინტერესი ვუწოდოთ, ალბათ, არ იქნებოდა სამართლიანი. (მე, ბუნებრივია, ჩემს მსჯელობაში არ მსურს განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება სიტყვებზე „ჩვეულებრივი ადამიანი", მინდა ყურადღება გავამახვილო სიტყვებზე: „პოეტის თვალწინ რომ გაუვლია და მის გულში შეუღწევია"). მე ვიცნობ უამრავ ხალხს, სწორედ ასეთი თავშესაქცევისათვის რომ უყვარს ლიტერატურა. ჩვენ მუდამ აღტაცებული ვრჩებით ჟირაფ რომ ვნახავთ ხოლმე ზოოპარკში, და ეს სავსებით ბუნებრივია. მაგრამ გვიყვარს კატაც, რომელიც სახლში გვყავს.

მავან და მავან კრიტიკოსს რომ ავყვეთ და სეზანს ფერწერის გამანადგურებელი ვუწოდოთ, მაშინ რენარიც „თხრობის" დამრღვევად უნდა მოვნათლოთ. ისევე, როგორც საკმევლის სუნით გაჟღენთილი ჟიდი, ან ფილიპი, ქუჩის სუნი რომ ასდის, — ისიც მიდის ხიფათით სავსე უკაცრიელ გზაზე, ყოველ ნაბიჯზე მახეს რომ უგებს. მე სწორედ ასეთი მწერლების ნამუშევრები მაინტერესებს, ნამუშევრები მწერლებისა, ანატოლ ფრანსისა და ბარესის[4] შემდეგ რომ გამოჩნდნენ, — მხედველობაში მაქვს ნაწარმოებები „ამბის თხრობას" მოკლებულთ რომ ვუწოდებ; ხოლო თუ რატომ მაინტერესებს ასეთი ნაწარმოებები, ამის მიხვედრა ზემოთქმულიდან შეიძლება.

თარგმნა **ასმათ კიკვიძემ.**

---

[1] აკუტაგავა სიტყვაში „თხრობა" ფაბულას გულისხმობს.

[2] ძიუნიტირო ტანიძაკი (1886-1969), ცნობილი იაპონელი მწერალი.

[3] ძიუნიტირო ტანიძაკის მოთხრობა.

[4] მორის ბარესი (1862-1923), ფრანგი მწერალი.

---

### მერაბ აბაშიძე

## ცხენი

თოვდა.

მდინარის ნაპირზე თეთრი ცხენი იდგა. პატრონი ყავახანაში იჯდა, ყავას შეექცეოდა და ცხენს უმზერდა.

უცებ, ნაპირზე, ათიოდე წლის ბიჭუნა გამოჩნდა. ფრთხილად მიუახლოვდა ცხენს და შაქარი გაუწოდა. ცხენმა მიწოდებული დაყნოსა, მერე ლაშები მოავლო და გაკვნიტა.

პატრონს გაეღიმა.

— ეჰეი! — დაუძახა ბიჭს.

ბიჭი მობრუნდა.

მამაკაცმა თითით მიიხმო.

— მოგწონს ჩემი ცხენი? — ჰკითხა ყავახანაში შემოსულს.

ბიჭმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— ტკბილი ნამცხვარი მოგვიტანე! — გასძახა ოფიციანტს კაცმა.

უმალ მოართვეს.

ბიჭმა მთელი ნაჭერი ჩაიტენა პირში.

— როგორც ვხედავ, შენც გყვარებია ტკბილი, — გაუღიმა კაცმა.

ცხენების მოყვარულმა ბავშვმა თავი დაუქნია.

— გინდა, შეგსვა?

— არა, — მიუგო ბავშვმა.

— რატომ? — გაუკვირდა კაცს. — მე მეგონა ცხენები გიყვარდა.

— მიყვარს კიდევაც.

— მერე?

— მერე ის, რომ შესაჯდომად კი არ მიყვარან, არამედ უბრალოდ, ისე...

— ჰოო! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ცხენის პატრონმა, — მაშინ სხვა საქმეა!

ბიჭი და კაცი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ორივე ცხენს გაჰყურებდა.

მართლაც, ძალიან ლამაზი იყო ცხენი.

## რა ფორმა უნდა მოუნახო

კოცონი მხიარულად ტკრციალებდა.

ბუხარს მიშტერებული მხატვარი ჩუმად იჯდა.

მოქანდაკეს თავი ჩაექინდრა და რაღაცას ბუტბუტებდა.

ფანჯარას შემოდგომის წვიმა ეხლებოდა.

საღამო იყო.

— ასე დაჟინებით რას უმზერ? — დაარღვია დუმილი მოქანდაკემ.

მხატვარი გამოფხიზლდა და დაბნევით შეხედა მეგობარს.

— ცეცხლზე ვფიქრობ, — უპასუხა მან.

— რას ფიქრობ?

— მშვენიერებას გავს იგი. მშვენიერებასავით ცვალებადია, ლბილი და ხელშეუხები. საკმარისია ოდნავ შეეხო და დაგწვავს.

— ამით რისი თქმა გსურს?

— რაც უფრო ახლოა ხელოვანი მშვენიერებასთან, მით უფრო დადაღულია განგების ხელით. ერთმანეთს გვანან ცეცხლი და მშვენიერება-მეთქი.

— ჰოო... — ამოიხვნეშა მოქანდაკემ და ღვინიანი ჭიქა ტუჩებთან მიიტანა.

— თან საშინელი ძალა აქვს ორივეს, — განაგრძობდა მხატვარი, — სიბნელის შემანგრეველი ძალა... ორივე ადვილად იმონებს სულებს კაცისას...

— აქ კი ცდები, — თქვა მოქანდაკემ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამგვარი დამონება დროებითია. ეს სიყმაწვილის სენია თითქოს. ჩემი ხნის რომ იქნები, მიხვდები, რა ძალაა გონება! გონება, რომელიც საოცარი სიცივით აკონტროლებს სულს. მშვენიერებასთან ძალიან მიახლოვებას შეიძლება მარცხი მოყვეს და მთლად გადაწვას ხელოვანი.

— მაინც როგორ?

— აი ისე, როგორც ცეცხლი მოედება ხოლმე საზარელ ხანძრად დაბებს და ქალაქებს. თუ გონებამ თავის დროზე არ ჩააქრო იგი, ყველაფერს დაწვავს... ამ შემთხვევაში კი — შენ!

— რატომ მე, მაინც?

— იმიტომ, რომ შენს სურათებში მეტი ვნება ჩანს, ვიდრე პლასტიკა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ის, რომ ფერი და ფორმა ერთმანეთს უნდა ეფარდებოდეს.

— შენ შენი პოზიციიდან მსჯელობ.

— მე ჭეშმარიტებას მოგახსენებ.

მხატვარს არაფერი უპასუხია. ისევ ცეცხლს შეხედა. ბრინჯაოსფერ თუჯს ლამაზად ლოკავდნენ ცეცხლის პატარა ენები.

მოქანდაკემ თავი მაგიდაზე ჩამოდო და ჩაეძინა.

მხატვარი ერთბაშად წამოდგა და თავის დაუმთავრებელ სურათს დააკვირდა. მოქანდაკის სიტყვები გაახსენდა, ფერი და ფორმა ერთმანეთს უნდა ეფარდებოდესო. „მაგრამ, ღმერთო!" — გაიფიქრა უცებ ღიმილით, — „რა ფორმა უნდა მოუნახო ცეცხლს".

---

## „ვერცხლის ტბა"

ახლახან გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა" (მოსკოვი) რუსულ ენაზე გამოსცა დიდ სამამულო ომში დაღუპული პოეტის ვლადიმერ უბილავას ლექსების კრებული „ვერცხლის ტბა". წიგნში შევიდა პოეტის რჩეული ლექსები და პოემა „ტობა-ვარჩხილი" (ვერცხლის ტბა). ლექსებისა და პოემის თარგმანი ეკუთვნის პოეტ იური ჟდანოვს.

წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ: „წინამდებარე წიგნი ნიჭიერი ქართველი პოეტის ვლადიმერ უბილავას ლექსების პირველი გამოცემაა რუსულ ენაზე. ეჭვი არ არის, რომ ვლადიმერ უბილავას ლექსები თავისი გულწრფელობით, ლირიკული ჟღერადობით და მაღალი მოქალაქეობრიობით გზას გაიკვლევენ მკითხველთა გულებისაკენ და ცხოველ ინტერესს აღძრავენ მათში. ამ ლექსებში ნათლად იგრძნობა სიყვარული მშობლიური ქართული მიწა-წყლისა და მთელი სოციალისტური სამშობლოსი, რომლისთვისაც პოეტმა სიცოცხლეც არ დაიშურა..."

ვლადიმერ უბილავა, როგორც მაშინდელ ახალგაზრდა პოეტთა უმრავლესობა, ფრონტზე მოხალისედ წავიდა. პოეტის ფრონტული ლექსები — „ჯარისკაცის დღიურიდან" — ყველაზე ძლიერია იმ ნაწარმოებთა შორის, რომელთა შექმნა მან მოასწრო ტყვიების წვიმაში. თითქოს წინ გვედგას ატმის ტოტები, — ლულებზე ღვივის ცეცხლის ყვავილი; გარიჟრაჟამდე გაბოროტებით ტყის ხრინწიანი ისმის ჩხავილი. გათენდა, ქედებს შუქი დაუვლის, ო, რა შეტევა გვქონდა წუხელის! — პირდაპირ! — ბრძანებს კვლავ მეთაური, ჩვენც მივაბიჯებთ მუხლმოუღლელნი!

ფრონტიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში პოეტი ეკითხება მეგობარ მწერალს: მართალია თუ არა, რომ ზოგიერთი ჩემი ლექსი უკვე აჟღერდა რუსულ ენაზეო? — პასუხის მიღება მას აღარ დასცალდა...

ლექსების ეს მცირე კრებული და პოემა, პოეტი-მეომრის ვლადიმერ უბილავას ღირსახსოვარი მოსაგონარია.



# ინგლისური ხალხური ლექსები

## ბრომსგროვის ლალი მონადირე

სერ რობერტ ბოლტონს სამი ძე ჰყავდა,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
ერთს სერ რიალასს ეძახდნენ მათგან
    და იყო იგი ქარივით ლალი.

ერთხელ წყაროს რომ გამოსცდა ხევთან,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
უეცრად ხეზე ვიღაც ქალს ხედავს
    და ჩქროლავს გული ქარივით ლალი.

— მანდ რას უზიხარ? — შესძახის მაღლა,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
— მეუღლე ჩემი მომიკლა ტახმა
    და ყმაც ორმოცი, ქარივით ლალი.

იმ ტახს თუ შევხვდი, გაკმარებ გლოვას,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
— ჩაჰბერე საყვირს და თვითონ მოვა,
    ოღონდ შენ იყავ ქარივით ლალი.

ტახმა ჯაგარი აშალა ტყეში,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
ადგა და ავად შემართა ეშვი —
    აბა, ვინ არის ქარივით ლალი?!

კაცის სუნი რამ დაიკრა ტახმა,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
ხესთან მიიჭრა და იქვე დახვდა
    სერ რიალასიც ქარივით ლალი.

ტახი ხეებს რომ ეშვებით თხრიდა,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
არ გადასულა ერთხელაც გზიდან
    სერ რიალასი ქარივით ლალი.

— რა გინდა ჩემგან? — შეჰბღავლა ტახმა,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
— მე წესი უნდა აგიგო ახლა! —
    გაისმა სიტყვა ქარივით ლალი.

შელამებამდე ვერ გრძნობდნენ დაღლას,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
ბოლოს გაქცევა იკადრა ტახმა,
    სიცოცხლე სურდა ქარივით ლალი.

ვაჟკაცს ერჩოდა მუხლი და მკლავი,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
წამოეწია და მოსჭრა თავი,
    რამეთუ იყო ქარივით ლალი.

თვალებზე ცრემლი მოადგა ალქაჯს,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
— შენ სატრფო ჩემი ღორივით დაჰკალ
    და მეც ვთავდები ქარივით ლალი.

შენგან სამ რამეს მოვითხოვ მხოლოდ,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
საყვირს, მერე ძაღლს და სატრფოს ბოლოს,
    რომ აღარ იყო ქარივით ლალი.

— თუ ამ სამ რამეს მოელი ჩემგან,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
მაშინ მე შავი მიწალა მრჩება
    და სული ჩემი ქარივით ლალი.

თმა გაშალა და გაფრინდა ქალი,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
გაწყრა და ვაი, იმ კაცის ბრალი,
    თუკი ქარივით ვერ არის ლალი.

ყრმას აუდუღდა ძარღვებში სისხლი,
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
დაეწია და განგმირა ისრით,
    რამეთუ იყო ქარივით ლალი.

ბრომსგროვის საყდრის კედელზე ნახატ —
    ჰე, მონადირევ, ჩაჰბერე საყვირს!
ტახის თავსა და იმ ყრმასაც ნახავთ,
    სული რომ ჰქონდა ქარივით ლალი.

●

ნურვინ გვეწვევა ამაღამ სახლში —
მეხრე იქნება, გრაფი თუ პაჟი,
თუ ვერ მოილხენს ვითარცა ბავშვი,
    რამეთუ ქრისტეს შობა თენდება!

თუ ვერც სიმღერა იმღერა, მაშინ
უბრალოდ მაინც შემოჰკრას ტაში,
რომ ჩვენი ლხენაც გაიგონ ცაში,
    რამეთუ ქრისტეს შობა თენდება!

გულის მაგიერ თუ უდევს კაჟი,
ან კინკლაობა თუ მოსდგამს გვარში,
ღვთის გულისათვის ნურც მოვა მაშინ,
    რამეთუ ქრისტეს შობა თენდება!

### სიმართლე

მას, ვინც მეფესთან სიმართლეს იტყვის,
პირზე წურწურით ჩამოსდის ხვითქი,
ხოლო მსახურთან ნათქვამ სიმართლეს
ძალა და აზრი არა აქვს თითქმის.

იმავ სიმართლეს არამც და არამც
არ ანახებენ დედოფლის პალატს,
შევა და უმალ გამოაგდებენ
და კარგად გაგილანძღავენ თანაც.

ტახტზე მორჭმით ზის მსაჯული მკაცრი.
სხვათა განკითხვით ელევა ქანცი
და სულ ის უკვირს, სიმართლის გამო
თავს რატომ იკლავს საწყალი კაცი.

ერთხელ არ შევა სიმართლე მღვდელთან,
სულ ტაძრის წინ დგას გლახასთან ერთად
როგორ გასწირა ასე სოფელმა,
რატომ დასაჯა მაღალმა ღმერთმა?!

### „დიახ, სემ ჰოლი გახლავარ!“

დიახ, სემ ჰოლი გახლავარ, დიახ, სემ ჰოლი გახლავარ,
სწორედ სემ ჰოლი გახლავარ, სემ ჰოლი მქვია-მეთქი,
ყველანი მძულხართ ერთიან, ყველანი მძულხართ ერთიან,
ერთურთიც გაგიწყვეტიათ, თქვენ შეგაჩვენებთ ღმერთი!

მე მითხრეს კაცი მოვკალი, ვითომ მე კაცი მოვკალი,
დიახ, მე კაცი მოვკალი, მართლა მოვკალი-მეთქი —
შინ რო მივადექ კვირადღეს, რო მივადე და მივადე
და ცოცხალ-მკვდარი მივაგდე, იმას დასწყევლის ღმერთი!

ქალაქით მღვდელი მოვიდა, ქალაქით მღვდელი მოვიდა,
პირველად მღვდელი მოვიდა, მღვდელი მოვიდა-მეთქი,
სულ დაბღვერილი მიმზერდა, ჭკვაზე ვერ ვიყავ ისედაც,
გეენას ცეცხლიც მიხსენა, იმას დალახვრავს ღმერთი!

მერე შერიფიც მოვიდა, მერე შერიფიც მოვიდა,
ბოლოს შერიფიც მოვიდა, ისიც მოვიდა-მეთქი,
თან მოჰყვნენ ვიღაც კაცები, ტანმაღალი და მხარგრძელი,
არ მომეწონა არცერთი, იმათ გაჟუჟავს ღმერთი!

თოკი მიაბეს ალვის ტოტს, თოკი მიაბეს ალვის ტოტს,
მიმიყვანეს და დამკიდეს, თოკზე დამკიდეს-მეთქი,
ქვევიდან მიკიჟინებდნენ: ჰეი, სემ, ხომ გითხარითო!
ჰეი, სემ, ხომ გითხარითო! იმათ გაუწყრეს ღმერთი!

ჩემს ნელის თვალი მოვკარი, ჩემს ნელის თვალი მოვკარი,
ცისფერი კაბა ჩაეცვა, ცისფერი კაბა-მეთქი,
— მართალი ხარო ცათამდე, სემ, რაღა ჭირი გადარდებს,
ღმერთს იხილავო ცხადადვე, იმას დასწყევლის ღმერთი!

დღეს მართლაც სამოთხეში ვარ, დიახაც სამოთხეში ვარ,
ქრისტეს ტაძარში დავდივარ, მეცხრე ცაში ვარ-მეთქი,
მალე მრუშებს და მეძავებს — მეც ხომ მათ გამო ვეწამე —
გეენის ცეცხლზე შეწვავენ, როგორც მაღლაა ღმერთი!

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ.**

---

# საბჭოთა კინოს დღე

27 აგვისტოს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კინოს დღეს ზეიმობენ. ესაა დათვალიერება მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური კინოხელოვნებისა, რომლის სათავეებში დგანან კინოს ისეთი აღიარებული კლასიკოსები, როგორიცაა ეიზენშტეინი, პუდოვკინი, დოვჟენკო.

ეიზენშტეინის „ჯავშნოსან პოტიომკინს“, როგორც კინოს ყველაზე უფრო აღიარებულ შედევრს, დღესაც აღფრთოვანებით უყურებს მილიონობით მაყურებელი. დიდი იდეური ჟღერადობის ამ მაღალმხატვრულ ფილმზე აღიზარდნენ კინემატოგრაფისტთა მთელი თაობები. ამ ფილმის მოქალაქეობრივი პათოსი და მხატვრული მაძიებლობა ნათელ კვალად გამოჰყვა მთელს საბჭოთა კინემატოგრაფიას.

კინო — მებრძოლი, აღმზრდელი, კომუნისტური სულისკვეთების, კომუნისტური მორალის დამამკვიდრებელი; კინო — ხელოვნებაში ახალი ფორმების, ახალი სიღრმეების მაძიებელი... ამგვარი იყო და არის საბჭოთა კინოხელოვნება მისი პირველი ფილმებიდან დღემდე.

ქართული საბჭოთა კინო ერთ-ერთი ნოვატორულია მთელს ჩვენს კინოხელოვნებაში. „წითელი ეშმაკუნებით“, „სვანეთის მარილით“, „არსენათი“, „დიადი განთიადით“, „ნარინჯის ველით“, „გიორგი სააკაძით“ და სხვებით განისაზღვრა სახელოვანი გზა ჩვენი კინოსი, რომელიც მუდამ მაღალმხატვრულად გამოხატავდა ხალხის სულისკვეთებას, მუდამ დროის და ეპოქის სამსახურში იდგა.

ორმოცდაათიანი წლების შემდგომ ქართულ კინოში მოვიდა ახალგაზრდა თაობა, შეიქმნა „მაგდანას ლურჯა“, ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, ქართული კინო გამრავალფეროვანდა თემატურად და გამდიდრდა იდეურ-მხატვრული შინაარსით. დღეს ჩვენს კინოში მოღვაწეობს სცენარისტთა, რეჟისორთა, მსახიობთა, ოპერატორთა, კომპოზიტორთა, მხატვართა მძლავრი რაზმი, რომელთაც ძალუძთ დიდი მხატვრული ამოცანების გადაწყვეტა. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი პრიზები და ჯილდოები, რომელთაც ბოლო ხანს ხშირად იღებენ ქართული ფილმები საკავშირო და მსოფლიო ფესტივალებზე.

განვითარდა და გამოიკვეთა სახე ქართული კინოდრამატურგიისა. ჩვენი კინოს უმთავრესი გამარჯვებანი დაკავშირებულია სწორედ ქართულ მწერლობასთან, კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურასთან. კინოში უკვე მუშაობს დიდი ჯგუფი ნიჭიერი მწერლებისა, რომელნიც განსაზღვრავენ ქართული კინოს ეროვნულ სახეს და კოლორიტს.

ვულოცავთ ჩვენს კინემატოგრაფისტებს საბჭოთა კინოს დღეს. ვუსურვებთ ახალ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ კინონაწარმოებებს.



**სურათებზე:** კადრი მომავალი ფილმიდან „რაიკომის მდივანი“; რეჟისორი რევაზ ჩხეიძე და ოპერატორი ლომერ ახვლედიანი ფილმის გადაღებისას.

---

# ქართველი მეცნიერების წვლილი

წელს სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში ჩატარდა IV საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლური ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს. კონფერენცია მოაწყო სლოვაკიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ყველა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ალექსანდრე გვახარია. მისი მოხსენება ეხებოდა ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მე-12 საუკუნეში.

მე-12 საუკუნის საქართველო მდიდარია თავისი ლიტერატურული ურთიერთობებითაც, განსაკუთრებით აღმოსავლურ ლიტერატურასთან. სწორედ მე-12 საუკუნეში გაეცნენ საქართველოში სპარსული ლიტერატურის კლასიკური ხანის ძეგლს გორგანის „ვის ო რამინს“.

როგორც ცნობილია, „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი უძველესია. ჩვენში დიდი ინტერესი ამ ნაწარმოებისადმი განაპირობა შესანიშნავმა თარგმანმა, რისი წყალობითაც იგი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლად იქცა.

„ვისრამიანის“ სრული ქართული ტექსტი პირველად გამოქვეყნდა თბილისში, 1884 წელს (ი. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით), მეორედ დაიბეჭდა 1938 წელს (ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით); მესამედ 1960 წელს („ჩვენი საუნჯე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა). 1962 წელს გამოვიდა ვისრამიანის მე-4 გამოცემა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ალ. გვახარიამ და მაგალი თოდუამ, რედაქტორი — გიორგი წერეთელი).

„ვისრამიანის“ ყოველი ახალი გამოცემა იყო წინგადადგმული ნაბიჯი ტექსტის დაზუსტებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

ქართულ თარგმანს არაუგვიანეს მე-12 საუკუნეს მიაკუთვნებენ, სპარსული ტექსტი მე-16-17 საუკუნისაა და საკმაოდ დამახინჯებული ხელნაწერითაა მოღწეული. ორიგინალის ტექსტის დასაზუსტებლად ქართულ თარგმანს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. მეტიც, სპარსული „ვის ო რამინის“ მეცნიერული გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა ქართული „ვისრამიანის“ დაუხმარებლად.

საგულისხმოა, რომ „ვის ო რამინი“, რომელიც აღმოსავლურ სამყაროში თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ნაწარმოები იყო, მე-15 საუკუნიდან ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

მერე პირველად გამოიცა კალკუტაში, 1865 წელს, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთ-ერთი შემორჩენილი სპარსული ტექსტი. დავიწყებულმა რომანმა კვლავ შეახსენა თავი მკითხველებს და მისდამი ინტერესი გაზარდა. 1935 წელს თეირანში გამოვიდა „ვის ო რამინის“ მეორე გამოცემა, რომელიც ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა მ. მინოვიმ გამოსცა. ამ გამოცემას საფუძვლად დაედო პარიზული, შედარებით კარგად შენახული ხელნაწერი. მაშინ მ. მინოვიმ პირველად მიაქცია ყურადღება ძველ ქართულ ტექსტს, რომელსაც იგი ო. უორდროპის ინგლისური თარგმანით გაეცნო. „ვის ო რამინი“ მესამედ გამოიცა 1959 წელს, ცნობილი ირანელი მეცნიერის მ. მახჯუბის მიერ. ეს გამოცემა ძირითადად მეორე გამოცემას ეყრდნობოდა, თუმცა ზოგიერთი ცვლილება განიცადა.

1970 წელს თეირანში გამოვიდა მეოთხე გამოცემა. წიგნი გამოსცა თეირანის კულტურის ცენტრმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით. წიგნის სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ქართველმა მეცნიერებმა — ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ. გამოცემის რედაქტორია ტაჯიკი ირანისტი ქამალ აინი.

ქართველმა მეცნიერებმა ზედმიწევნით გააანალიზეს „ვის ო რამინის“ მანამდე არსებული სპარსული და ქართული გამოცემები, შეაჯამეს სპარსული და ქართული ტექსტები, გაითვალისწინეს და უპირატესობა მიანიჭეს იმ ვარიანტებს, რომლებიც ერთდროულად ფიქსირებულია როგორც ქართულ, ისე სპარსულ ტექსტებში. ამრიგად, მეოთხე სპარსული გამოცემა „ვის ო რამინისა“ ასწორებს წინა გამოცემების ხარვეზებს და ძირითადად ეყრდნობა ქართულ „ვისრამიანს“.

„ვის ო რამინის“ ამ გამოცემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა აღმოსავლეთმცოდნეებში: ირანში დაიბეჭდა რეცენზია, რომლის თარგმანი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაშიც („სამშობლო, VI. 1972 წ.). აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა ამ გამოცემას („კომუნისტი“, 1971 წელი, 18 მაისი). სპეციალისტთა აზრით, ამ გამოცემით ქართველმა ირანისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სპარსული ლიტერატურის მეცნიერული კვლევის საქმეში.

1972 წელს გამოვიდა „ვის ო რამინის“ ინგლისური თარგმანი. მთარგმნელმა ჯ. მორისონმა ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებული ტექსტითაც ისარგებლა...

ერთი წლის წინ პრაღის გამომცემლობა „ოდეონმა“ გამოსცა ამ ნაწარმოების ჩეხური თარგმანი,— „ვისისა და რამინის სიყვარულის შესახებ“. მთარგმნელი ვერა კუბიჩკოვა თავის კომენტარებში, რომელიც წიგნს ერთვის, ჩეხური თარგმანის წყაროდ ასახელებს 1970 წელს თეირანში გამოშვებულ „ვის ო რამინის“ სპარსულ ტექსტს და აუწყებს მკითხველებს, რომ ტექსტი დაადგინეს და გამოსცეს ქართველმა მეცნიერებმა ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, ძველი ქართული თარგმანის საფუძველზე.

წიგნი ლამაზად გააფორმა მხატვარმა მიროსლავ ტროუპმა.

ვფიქრობთ, ეს ფაქტი ქართველი მეცნიერების მოღვაწეობის კიდევ ერთი აღიარებაა უცხოეთში.

**გიული ლეჟავა**

---

# თამარ ჩხაიძე



გარდაიცვალა ცნობილი საბავშვო მწერალი თამარ მიხეილის ასული ჩხაიძე. ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ნორჩი თაობის სულიერ აღზრდას.

თამარ ჩხაიძე დაიბადა 1907 წლის 30 აპრილს, ქალაქ ბათუმში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1937 წელს, როცა ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „105 წლის კოლმეურნე“. მას შემდეგ მწერალმა შექმნა არაერთი და ორი საინტერესო წიგნი, რომელთაც მკითხველთა აღიარება მოიპოვეს.

მცირეწლოვანთა წიგნის თაროს მუდამ დაამშვენებს მისი წიგნები: „სიმღერა“, „ნაცარას შვილობილი“, „ნუკრია“, „სახტომელა“,... ლიტერატურულ კონკურსებში პრემიები დაიმსახურეს თ. ჩხაიძის წიგნებმა: „თოჯინების აჯანყება“, „ლოთი მამალი“, „პოემა შუქნარის ტყეზე“, „ძესიმინდა“, „თავნანა“.

ამ ბოლო დროს „ნაკადულმა“ გამოსცა მწერლის ახალი მოთხრობების კრებული „მეტყევის შვილი“, რომელიც მკითხველმა გულთბილად მიიღო.

თამარ ჩხაიძის ლექსებზე შექმნილია არაერთი და ორი რომანსი „ნუ გამიწყრებით“, „ოღონდ გიყვარდე“, „დაგელოდები“, „თუ ვიპოვე“ და სხვა, რომლებიც წარმატებით სრულდებოდა ჩვენს ესტრადაზე.

დიდი მოწონება დაიმსახურა სატელევიზიო ფილმმა „დედის ხელმა“, რომელიც შეიქმნა მწერლის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ეს ფილმი დაჯილდოვდა ცენტრალური ტელევიზიისა და რადიოს დიპლომით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, თამარ ჩხაიძის მოთხრობების ახალი კრებული, რომელიც 1976 წელს გამოსცა „მერანმა“.

თამარ ჩხაიძე იყო გულისხმიერი ადამიანი, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით დამშვენებული, ყოველთვის ღიმილიანი და ხალისიანი.

ასეთად დარჩება იგი სამუდამოდ მის მეგობარ მწერალთა ხსოვნაში.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

---

# ლიტერატურული პანორამა

●

კიევის მახლობლად, დნეპრის სანაპიროზე, ერთ-ერთ მშვენიერ სოფელ პლუტში, ახლახან გაიხსნა ალექსანდრ ევდოკიმის ძე კორნეიჩუკის ძეგლი, სადაც მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლო წლებში. ბრინჯაოს ძეგლი (ავტორები — უკრაინის სახალხო მხატვარი ა. სკობლიკოვი, არქიტექტორი მ. ბურხანოვი) დაიდგა დრამატურგის ლიტერატურულ-მემორიალური სახლ-მუზეუმის შესასვლელთან.

●

ყოველწლიურად, ადიღელი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები, რომელიც მიეძღვნება თანამედროვე სოფლის ცხოვრებას, ჯილდოვდება ცნობილი აშუღის — ცუგა ტეუჩეჟის სახელობის ლიტერატურული პრემიით. პრემია დააწესა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ, პოეტისა და მომღერლის დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით. ადიღელმა ხალხმა მწერლის სახელი უწოდა, აგრეთვე, ერთ-ერთ რაიონს, ქალაქს და აულს. სოფელი ტეუჩეჟხაბლი, სადაც დაიბადა აშუღი, ყოველი დღესასწაულის გულია. მის მთავარ მოედანზე გახსნილია ცუგა ტეუჩეჟის სახლ-მუზეუმი და ძეგლი.

●

ცნობილმა ჩეხმა პოეტმა იან პილარჟმა ახლახან მკითხველებს შესთავაზა რასულ გამზათოვის ლექსების ახალი წიგნი „სამი სიმღერა დედაზე“. რასულ გამზათოვის პირველი ლექსების კრებული ჩეხურად 1959 წელს გამოიცა და მაშინვე მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

იან პილარჟი ბევრს თარგმნის და იღვწის მოძმე ხალხთა ლიტერატურების პროპაგანდისათვის. მანვე თარგმნა და ცალკე კრებულებად გამოსცა არა ერთი საბჭოთა, პოლონელი და სხვა ქვეყნების პოეტი და მწერალი.

●

მწერალი და მოაზროვნე — ასეთად წარმოგვიდგება ესტონური ლიტერატურის კლასიკოსი ა. ხ. ტამსაარე, ავტორი არაერთი ეპოპეის, რომანის, პიესისა და მრავალი სხვა ნაწარმოებისა.

მოქანდაკე ი. სოანსმა და არქიტექტორმა რ. ლუუპმა შექმნეს მწერლის ახალი სკულპტურული პორტრეტი. პლასტიკურად გადაწყვეტილი უბრალოება და ლაკონიურობა, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე შექმნილი მწერლის სახე, — კეთილი თანხვედრაა მისსავე პიროვნებასთან. არც ერთი დეტალი, არც ერთი ნაწილი ქანდაკებისა არ უხვევს მთავარი თემიდან, — ნათლად გაიხსნას შინაგანი სამყარო დიდი პოეტი-დემოკრატისა, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობათა ძიებას, სიმართლისათვის ბრძოლას.

არც თუ დიდი მოცულობის ბრინჯაოს სკულპტურული ნამუშევარი, რომელიც დადგმულია მომაღლო მარმარილოს პიედესტალზე ქ. ტალინის შუაგულში, ჰარმონიულად ერწყმის ბაღს, მთელ ქალაქს და უშუალო კონტაქტშია მნახველებთან.

## „ცისკარი“ № 8

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მერვე ნომერი.

ჟურნალი მკითხველებს სთავაზობს ლეილა ბეროშვილისა და თენგიზ ჩალაურის მოთხრობებს, ჯემალ ქირიას რომანს „მარადი მხედარი“ (დასასრული), გურამ ბათიაშვილის პიესას — „ვალი“ და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებს“ (გაგრძელება).

პოეზიის განყოფილება წარმოდგენილია გურამ პეტრიაშვილის, ბათუ დანელიას, ბადურ ბალარჯიშვილის, რენე კალანდიას, ნოდარ ჯალაღონიას და მირონ ხერგიანის ლექსებით.

„ახალი თარგმანები“ — ამ რუბრიკით ჟურნალში „დაბეჭდილია ბორის ვიშინსკის მოთხრობა, თარგმნა ციალა ჩხეიძემ.

გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავს ეძღვნება მარკ ზლატკინის წერილი — „სიბრძნე პოეტური სიმწიფისა“.

წერილების განყოფილება მკითხველებს სთავაზობს სოსო სიგუას, ვასილ მჭედლიშვილის, ე. გიუნაშვილის, ზ. სარჯველაძის, ნიკოლოზ წერეთლისა და მზია შენგელიას წერილებს.

„პირველი შთაბეჭდილების“ რუბრიკით იბეჭდება კახი მეზვრიშვილის, ავთანდილ გურგენიძის, ჯარჯი ფხოველისა და გიორგი მაჭუტაძის წერილები.

რუბრიკით — „დიადი მემკვიდრეობა“ იბეჭდება ალექსანდრ პუშკინის „წერილები“ (გაგრძელება), თარგმანი ეკუთვნის რუსუდან ქებულაძეს.

„იუმორი“ გთავაზობთ რევაზ ოსეფაიშვილის იუმორესკას — „კომპოზიტორი რედაქტორთან“.

---

# საყმაწვილო

## ავთანდილ მეგრელიშვილი

### ოროსანი დათვი

ყოველ დილით სკოლაში
მიბაჯბაჯებს დათვი.
სასუსნავის მოყვარულს
ჩანთაში აქვს თათი.

გაკვეთილს არ ამზადებს,
არც აქვს მისი დარდი,
მუდამ თავცარიელი,
ჩანთასავსე დადის.

### მზის წერილი

მზემ წერილი გამოგზავნა,
სულ სხივებით ნაქარგი:
— ყველას, ვისაც სწავლა
    უყვარს,
ყოჩაღია და კარგი!
ვისაც უნდა რომ იცოდეს,
წერა-კითხვა და ლექსი.
მიხო ჰქვია, კახა, ლელა,
ნუგზარი თუ ალექსი...
არასოდეს მოაკლდება,
იმ ბავშვს ჩემი ალერსი!

### ჩიტს

ძმას შურდული წავართვი,
ხესთან ზის და ქვითინებს...
ჩიტო, ნუ გეშინია,
ჩვენს ეზოში იფრინე!

### ომარიკო

თვალზე ცრემლებს ძლივს
    იკავებს,
შეცივნია ომარიკოს.
ამბობს: თოვლი რა კარგია,
ასე ცივი რომ არ იყოს!

### სამყურა

ამოხასხასდა სამყურა,
მიწას გაეკრა ხალიჩად.
ჩვენი ბოჩოლა გაძლო
და გული გაგვიხალისა.
ზედ მე და მიხო
    ვჭიდაობთ,
ხან მე ვარ ქვეშ და ხან—ისა.

### დათუნიებს

ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი
ქურქები რომ გაცვიათ.
ან ზაფხულში არა გცხელათ,
ან ზამთარში არ გცივათ?!

### რა ჩემი ბრალია?

ჩემზე ყველა ასე ამბობს:
— ზარმაცია, ზარმაცია!
რა ვქნა თუ ეს თოჯინები
წერა-კითხვას არ მაცლიან?!

### რად აქვს კუზი?

— ამ პატარა აქლემს, ბებო,
რად აქვს ზურგზე კუზი?
— იმიტომ, რომ გაკვეთილზე
მერხს მოხრილი უზის!

## ნუნუ ძამუკაშვილი

### პატარა მშენებლები

ქვა და ქვიშა მოაქეთ
    მძღოლებს,
სახლს აშენებს აი,
უქმად არვინ არ ჩერდება —
ვაჟა, ნინო, კესო.
ბესო ამბობს: სჯობს ფანჯარა
უყურებდეს მზესო,
სახურავი გადავხუროთ
და კედლებიც ვლესოთ,
ახალ სახლში შევეგებოთ
პირველ სექტემბერსო.

### დაიხსომე

ასკუპულა, ხეზე გელა
ბლის ტოტს გააქვს
ლაწა-ლუწი
ცოტა ფრთხილად!
ბრაზობს ილა,
აღარ გინდა მემრის ხილად?!
დაიხსომე მწიფე ხილი
იკრიფება მხოლოდ
    ყუნწით.

### ზარმაცი

ნახეთ, ჩვენი ზარმაცი,
უსაქმური ნიკა!
მოდი მეთამაშეო,
ეხვეწება თიკანს.
განაწყენდა თიკანი,
მარჯვე რომ ხარ ჭამაში,
სწავლაც შეიყვარე და
მერე მთხოვე თამაში.

---

# მკითხველის რეპლიკა

კარგია, რომ ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. ამით შთამომავლობა პატივს მიაგებს და უკვდავყოფს დიდი პოეტის სახელს.

ასეთი დღესასწაული გაიმართა წელსაც, პოეტის სოფელში — ჩარგალში. ვაჟას ახლობლები, თანასოფლელები მასპინძლობდნენ თბილისიდან, დუშეთიდან და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ უამრავ სტუმარს.

სამწუხაროდ, ვაჟას სოფელში ჩასულებს ჩარგალი და პოეტის სახლი სულ სხვანაირად წარმოგვიდგა, ვიდრე გვეგონა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. სადღაა ვაჟას გამჭვარტლული ქოხი, სადაც ფიჩხის ცეცხლზე იქმნებოდა შედევრები, იატაკი მოუტკეპნიათ, კედლები გაჯით შეულამაზებიათ...

სახლ-მუზეუმის წინ მდინარე ჩარგლურა ბეტონის კალაპოტში ჩაუსვამთ, ბეტონისავე ხიდი გაუკეთებიათ, ადამიანს უნებურად თავი სამშენებლო მოედანზე ეგონება. აქაურობას აღარა აქვს მემორიალური სახე, სრულიად დაკარგულია ის კოლორიტი, რაც გააცოცხლებდა დიდი პოეტისდროინდელ გარემოს.

ამ დღესასწაულზე ხომ ძირითადად ვაჟას პოეზიის თაყვანისმცემელნი იკრიბებიან და განა სასურველი არ იქნებოდა, რომ „ვაჟაობაზე“ პოეტის წიგნები, პორტრეტები, მისდამი მიძღვნილი ლიტერატურა იყიდებოდეს? სამაგიეროდ აქ უხვად გვთავაზობდნენ ბრიჯიდ ბარდოს, სოფი ლორენის, დინ რიდის და სხვათა სურათებს... წარმოიდგინეთ, სალეჭი რეზინა და „მამალოებიც“ კი იყიდებოდა.

„ვაჟაობა“ წლითიწლობით თანდათან პოპულარული ხდება და ჩარგლურას ვიწრო ხეობა ვეღარ იტევს დღესასწაულზე მოსულ აუარებელ ხალხს. „ვაჟაობის“ ორგანიზატორებმა ალბათ ამაზეც უნდა იზრუნონ, იქნებ მიტინგი სულაც არაგვისპირა ჭალაში გაიმართოს, სადაც შედარებით მეტი სივრცეა...

„ვაჟაობიდან“ დაბრუნებულ მნახველს მეტი სიხარული უნდა გამოჰყვეს.

**ავთანდილ უჯმაჯურიძე,**
თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

---

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

რედაქტორის მაგიერ თამაზ ბიბილური.

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, ნ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, ვ. ჭელიძე, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 03927